გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№36 (931) 11 - 13 აპრილი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი




# რა გინდა, რაინდო ლევან?!



ახლა რომ ჭკუას გვარიგებთ, ძალიან მაინტერესებს, ამ „დესპოტურ რეჟიმთან" ბრძოლის დროს, 7 ნოემბერსა თუ 26 მაისს (და არ აქვს მნიშვნელობა, ვინ მართავდა აქციებს, რადგან ქუჩაში მაშინ საქართველო იდგა), თქვენ სად იყავით თქვენი ჩოხა-ახალუხიანად და ქამარ-ხანჯლიანად?! სად იყავით 2008 წლის აგვისტოში, მაშინ, როცა ის ქვეყანა, სადაც ჩვენი ჭკუის სასწავლი ფული იშოვეთ, საქართველოს გასრესით ემუქრებოდა? ახლა არ მითხრათ, „გალობანი სინანულისანი" მქონდა დასამთავრებელი, ლონდონში, ჩემს ციხე-სიმაგრეში ვიჯექი და საქართველოზე ლოცვაში მქონდა მუხლები გადატყავებულიო...

## ანუ პასუხი ვასაძის „სამართლიანობის აღდგენას"

გვ. 3

„ნაზი სამშობლოს უხლებ ველებ-ზე, ნაწვიმარ სიოდ გამომიძახე..." ეს თქვენი ლექსიდან არის და რომელ უხლებ ველებზე, რაინდო ლევან?! ახლა რომ მავთულხლართებია გაბმული თუ 2008 წელს ნაწვიმარ სიოდ ქართული სისხლით რომ სველდებოდა?! მაინც სად იყავი 2008-ში, რატომ არ ამბობ, ნეტავ...

## ბაჩუკი ქარდავა იმ პარტიებს ასახელებს, რომლებიც ერთ ბლოკში ერთიანდებიან



იქნება თუ არა ახალი ოპოზიციური ფლანგის ლიდერი ირაკლი ოქრუაშვილი?

გვ. 4

## გამგებლებისა და მათი მოადგილეების დამალული ქონება

რატომ არ ითვალისწინებს კანონი მკაცრ სანქციებს მატყუარა ჩინოვნიკების მიმართ

გვ. 5

## „ოჯახი მეღუპება, მოვითხოვ, „პოპულმა" ვალი, 45 ათასი ლარი დამიბრუნოს!"




გვ. 6

რა კაბალურ პირობებს სთავაზობდა „ფუდმარტის" კომერციული დირექტორი დაზარალებულ თამარ ჩაჩანიძეს



გვ. 9

## აფხაზეთი რუსეთის წინააღმდეგ

რეპორტაჟი სოხუმიდან



## რუსულმა თვითმფრინავმა საქართველოს საჰაერო სივრცე გადმოკვეთა

ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან მცირე ზომის რუსული თვითმფრინავი შემოფრინდა, რომელიც ცოტა ხნით უკან გაბრუნდა, შემდეგ კი, გარკვეული პერიოდი, ისევ ხურჩას თავზე დაფრინავდა.

ადგილობრივების თქმით, თვითმფრინავიდან, სავარაუდოდ, სურათები გადაიღეს.

თვითმფრინავი სოფლის თავზე მაშინ გამოჩნდა, როცა სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ადგილობრივ მოსახლეობას ხვდებოდა. ომბუდსმენმა მანამდე ე.წ. სასაზღვრო ზოლიც მოინახულა.

საქართველოს საჰაერო სივრცის რუსული თვითმფრინავით გადმოკვეთა დაადასტურა შინაგან საქმეთა სამინისტრომ. უწყების საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორის გოჩა რატიანის განმარტებით, ოკუპირებული აფხაზეთიდან ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე „ან 2“ ტიპის თვითმფრინავი შემოფრინდა. საგანგებო განცხადება გაავრცელა საგარეო საქმეთა სამინისტრომაც: **„სამინისტრო შეშფოთებას გამოხატავს რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისა და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების დარღვევის მორიგი ფაქტის გამო და მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობას, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსსა და საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიას, სათანადო რეაგირება მოახდინონ მომხდარ ინციდენტზე, საქართველოს წინააღმდეგ პროვოკაციული ქმედებებისა და ვითარების დაძაბვის მცდელობის აღკვეთის მიზნით“.**

პარალელურად, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ოკუპირებული აფხაზეთის მთიან ნაწილში მორიგი წვრთნები, ტაქტიკურ-სპეციალური სწავლება მიმდინარეობს რუსეთის სამხედრო ბაზის სამედიცინო განყოფილების მონაწილეობით. მასში 100-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე და 30 ერთეული სამხედრო ტექნიკაა ჩართული.

***„ვერსიანიუსი“***




## სამარშრუტო ტაქსებში მხოლოდ ერთ რადიოს მოუსმენენ?

კომპანია „თბილისის მიკროავტობუსსა“ და რეჟისორ გოგა ხაინდრავას შორის გაფორმდა „ურთიერთგაგების მემორანდუმი“, რომელიც სამარშრუტო ტაქსებში რადიო „უცნობის“ ბაზაზე სტაციონარული რადიოს გამართვასა და მოწყობას ითვალისწინებს. „თბილისის მიკროავტობუსის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელის, ნინო პოტრჟებსკაიას განმარტებით, ამ ტიპის რადიო მძღოლებთან შეთანხმებით მოეწყობა და შესაბამისად, ამით მიკროავტობუსებში სხვა რადიოების მოსმენა არ დაიბლოკება. პოტრჟებსკაიასთვის უცნობია, როდის დაიწყებს რადიო ფუნქციონირებას და რა ტიპის გადაცემები ექნება: „ჯერჯერობით ეს პროექტი მხოლოდ მემორანდუმის დონეზეა. რადიო რომ ტექნიკურად გაიმართება, შემდეგ იმსჯელებენ შინაარსობრივ მხარეზე. რადიო რეალურად მორგებული იქნება ყველა ასაკობრივ მოთხოვნაზე: რა კატეგორიაც და მგზავრებიც ჰყავს მიკროავტობუსს. ჯერ მხოლოდ იდეაა, რომელიც მემორანდუმის სახით გაფორმდა“.

***„ინტერპრესნიუსი“***

# 53-ე სკოლაში სასწავლო პროცესი ისევ ჩაიშალა — რას აპირებს მთავრობა



10 აპრილს, 53-ე საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი ისევ ჩაიშალა. მოსწავლე-მასწავლებლები ძველი დირექტორის, ლალი (მარიამ) რამინაშვილის თანამდებობაზე დაბრუნებას მოითხოვდნენ. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს კი კარში ჩაუდგნენ და შენობაში შესვლის საშუალება არ მისცეს. ეკა გახარია პატრულის ძალითაც ვერაფერს გახდა და ტერიტორია დატოვა.

„სახალხო დამცველის წარმომადგენლები დაგვპირდნენ, რომ უჩა ნანუაშვილს გადასცემენ ჩვენ მოთხოვნებს. ომბუდსმენი იქნება შუამავალი ჩვენსა და სამინისტროს შორის, რადგანაც მათ აღარ ვენდობით. სანამ არ დააბრუნებენ ძველ დირექტორს, სასწავლო პროცესი არ აღდგება“, — განუცხადა „ვერსიას“ ერთ-ერთმა მასწავლებელმა. მოსწავლეები კი, ეზოში ჩატარებულ „სიმბოლურ გაკვეთილებს“ დაესწრნენ და განაცხადეს, სანამ არ დაგვიბრუნდება მარიამი, ასე ვიქნებითო.

რადგან 53-ე სკოლის მოსწავლე-მასწავლებლებმა და განათლების სამინისტროს წარმომადგენლებმა საერთო ენა ვერ გამონახეს, „ვერსია“ პრემიერის აპარატს დაუკავშირდა. გვაინტერესებდა, პირადად პრემიერი თუ ეცდება პრობლემის მოგვარებას და 10 აპრილს გამართულ მთავრობის სხდომაზე, თუ განიხილეს ეს საკითხი. პრესსამსახურის უფროსის, მანანა თოქმაჯიშვილის განმარტებით, ამ თემაზე მთავრობის სხდომაზე არ უსაუბრიათ, პრობლემის მოგვარება კი განათლების სამინისტროს პრეროგატივაა.

განათლების სამინისტრომ გაფიცვის საპასუხოდ, 53-ე საჯარო სკოლაში გადაღებული ვიდეოკადრები და მშობლების ზარების ჩანაწერები გამოაქვეყნა. კადრებზე ასახულია, როგორ მართავენ გარკვეული ჯგუფები სკოლაში არსებულ ვითარებას და პირადი მიზნებისთვის იყენებენ ბავშვებს. სამინისტროს ინფორმაციით: **„კადრებში ჩანს გათავისუფლებული დირექტორის მოადგილე შორენა ნოდარიშვილი-გამყრელიძე, რომელიც მიზანმიმართულად შლიდა გაკვეთილებს. გაფიცული მასწავლებლები, პედაგოგს, რომელსაც გაკვეთილის ჩატარება სურდა, ხელს უშლიდნენ. ადგილი ჰქონდა ასევე სიტყვიერ შეურაცხყოფას. 10 აპრილს სკოლის წინ გამართული აქციის ორგანიზატორი კი, ყოფილი დირექტორის და, ლიკა რამინაშვილია. მან უზრუნველყო გაფიცული მოსწავლეები წარწერიანი მაისურებითა და საკვებით“.**

სანიკიძის უწყებამ სკოლაში დარღვევების შესახებ შიდა-აუდიტის დეპარტამენტის დასკვნაც გაასაჯაროვა: სკოლის ფართებით (6 საკლასო ოთახი) სარგებლობს კერძო პირი ისე, რომ არ იხდის სარგებლობის თანხას, არ არსებობს ხელშეკრულებები, არ არის განათლების სამინისტროსა და ეკონომიკური სამინისტროს თანხმობა, არ ჩატარებულა აუქციონი (სარგებლობა ხდებოდა 2013 წლის ოქტომბერში, ნოემბერში, დეკემბერში, 2014 წლის თებერვალში); 2013 წლის განმავლობაში მოქმედი იჯარის 12 ხელშეკრულება დადებულია კანონდარღვევით ჩატარებული აუქციონის საფუძველზე (ჯამში იჯარით გაცემული ფართი 1600 კვ.მ–ზე მეტია); მოიჯარეების მიერ თანხების გადახდა ხდებოდა დარღვევით, არ არის გადახდილი საურავები; სკოლაში დარღვეულია ბუღალტრული აღრიცხვის, ინვენტარიზაციის ჩატარების, შესყიდვების განხორციელების წესები; სამი წელია არ არჩეულა ახალი დისციპლინური კომიტეტი; სასწავლო გეგმა დამტკიცებულია არასრულად; წრეები შექმნილია ერთპიროვნულად, დირექტორის ბრძანებით; არც ერთი პირველკლასელის პირადი საქმე არაა შევსებული; მოსწავლეები ჩარიცხულია შესაბამისი დოკუმენტაციის გარეშე.

განათლების სამინისტროს წარმომადგენლების განმარტებით, სხვადასხვა ფაქტორი, რომელიც უარყოფით ზეგავლენას ახდენს სასწავლო პროცესზე, არღვევს პირის უფლებას — მიიღოს ზოგადი განათლება. ამდენად, სასწავლო პროცესის ხელოვნურად ჩაშლა გულისხმობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დარღვევას, რაც იწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას. გაფიცული მოსწავლე-მასწავლებლები უკანდახევას არ აპირებენ ისევე, როგორც განათლების სამინისტრო. ამ ფონზე, რა ბედი ელის ყოფილ დირექტორს და როდის განახლდება სკოლაში სასწავლო პროცესი, ჯერჯერობით უცნობია.

***ანი ბეშიტაიშვილი***

## ვერსიანიუსი

### „მეოცნებეებმა“ ნაციონალებს კვერცხები და ცოცხები დაუშინეს



დეპუტატები — გიორგი ღვინიაშვილი და ლევან ბეჟაშვილი თელავის ცენტრში თელავის რეაბილიტაციის მეორე ეტაპის დაწყებასთან დაკავშირებით აქცია-ბრიფინგის გამართვას გეგმავდნენ, თუმცა „ქართული ოცნების“ 50-მდე აქტივისტმა ამის საშუალება არ მისცა. ისინი სკანდირებდნენ — „მკვლელები“... გიორგი ღვინიაშვილს ცოცხი გადასცეს, შეახსენეს, რომ „მათი ხელისუფლება ციხეში ხალხს აწამებდა“ და მორალური უფლება არ აქვთ, აქცია გამართონ. საუბარი სიტყვიერ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ღვინიაშვილისა და ბეჟაშვილის მანქანას კვერცხებიც დაუშინეს.

კვერცხები დაუშინეს გიგი უგულავასაც **საკონსტიტუციო სასამართლოს ეზოში. სასამართლოს პლენუმი განიხილავდა** უგულავას სარჩელს პარლამენტის წინააღმდეგ. აქტივისტებმა პლაკატებიც გამოფინეს — „უგულავა მკვლელია!“ რის შემდეგაც ნაციონალური მოძრაობის წევრებსა და აქტივისტებს შორის სასამართლოს ეზოში სიტყვიერი დაპირისპირებაც მოხდა.

ანალოგიური ვითარება იყო ანაკლიაში, სადაც ნაციონალებს ბრიფინგი ჰქონდათ დაგეგმილი, მაგრამ ამის საშუალება არ მისცეს. „ქართული ოცნების“ მომხრეების განცხადებით, ნაციონალები 9 წელი ძალადობდნენ ხალხზე და უფლება არ აქვთ, ანაკლიაში ბრიფინგი ჩაატარონ.

საარჩევნო კამპანიის ფარგლებში დაგეგმილი ბრიფინგების ჩაშლის შემდეგ, ნაციონალურმა მოძრაობამ საგანგებო განცხადება გაავრცელა: **„ფაქტი, რომ ხელისუფლებამ გადაწყვიტა უხეში გზით ხელი შეეშალა ჩვენთვის, არის ირიბი აღიარება, რომ ქვეყანა მოკლებულია წინსვლის ყოველგვარ პერსპექტივას. თუ ხელისუფლება ამ მეთოდებით აპირებს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებისთვის ბრძოლას, ეს არჩევნები არ და ვერ შეფასდება როგორც თავისუფალი და სამართლიანი, რაც სერიოზულ ზიანს მიაყენებს ქვეყნის იმიჯსა და ევროატლანტიკური საგარეო კურსის პერსპექტივას“.**

***„ვერსიანიუსი“***

# რა გინდა, რაინდო ლევან?!

## ანუ პასუხი ვასაძის „სამართლიანობის აღდგენას“



გიორგი იაშვილი

**ზუსტად ვიცი, ამის შემდეგ იმდენი კრიტიკოსი გამომიჩნდება, რამდენი „ლაიქიც“ აქვს ლევან ვასაძის ლექსსა და ჩოხა-ახალუხიან ფოტოს ინტერნეტში, მაგრამ არა უშავს. ჯერ ერთი, „ლაიქები“ ქართულ რეალობაში იმდენ ვინმეს და რამეს აქვს, ამით რეიტინგულობის განსაზღვრა ძნელია და ესეც არ იყოს, აკი თავად ვასაძის მიერ ნაქებმა ბიძინა ივანიშვილმა დაგვიბარა, კერპებს ნუ ქმნით, მესიებს ნუ ეძებთ, იმ აზრს შეეგუეთ, რომ ყველა თქვენნაირია და წინ წავალთო. ამის ბრალიც იყო, ივანიშვილის მიერ გამართულ აქციებზე „ბიძინა, ბიძინას“ ნაცვლად, „საქართველო, საქართველო“ რომ ისმოდა, მაგრამ ძნელი ყოფილა ზვიადიდან, მიშადან, ირაკლიდან, ნინოდან და კიდევ ვინ მოთვლის რომელი სახელიდან საქართველოზე გადასვლა, თუმცა ამ თემაზე სხვა დროს, ახლა კი ისევ ბატონ ლევანს დავუბრუნდეთ, რომლის სახელსაც, ეჭვი მაქვს, საზოგადოება, უკვე იზეპირებს და ამით ტკბება!**

პერიოდულად, ცნობილი ბიზნესმენი პრესისა თუ ინტერნეტის საშუალებით საკუთარ მოსაზრებებს გვამცნობს და ასევე საკუთარ პოეზიას გვაზიარებს. კარგი სანახავია ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ქართველის საგალობლების ფონზე ხილვა და ლექსის მოსმენა, მაგრამ... პოეზიას მერეც მივუბრუნდებით, ახლა კი პოლიტიკური პროზა ქართულად ანუ ვასაძის ახალი დიდაქტიკური წერილი, რომელსაც „სამართლიანობის აღდგენა“ ჰქვია და საკმაოდ ვრცელია. სოციალურ ქსელებში მისი განხილვის შემდეგ, ერი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ვასაძე ქართულ პოლიტიკაში აქტიურად უნდა ჩაერთოს, მაგრამ, როგორც ადრე უთქვამს, პოლიტიკაში მოსვლას არ აპირებს და ამის სურვილი რომ ჰქონოდა, ადრე გააკეთებდა. წერილში ბატონი ლევანი თავიდანვე გვაგუებს იმ აზრს, რომ **„ქართული საზოგადოებისათვის ფული არ არის მთავარი, მადლობა ღმერთს, ჯერ ასე არ გადავგვარებულვართ, გარედან ამის გამუდმებული მცდელობის მიუხედავად.“**

ხშირად გამიგია ადამიანებისგან, ფული მთავარი არ არისო, მაგრამ ვაი, რომ, ასიდან ას შემთხვევაში, ამას ის ხალხი ამბობს, ვისაც ანგარიშზე შვიდციფრიანი თანხა უკვე უდევს, მოწყენილი აქვს დროსტარება, სმა-ჭამა, მოგზაურობა და ამბიცია უჩნდება, სხვას ჭკუა დაარიგოს, სხვა კი ხშირ შემთხვევაში „საშოვარს გადაგებული, გათითოკაცებული“ ერია. ამ დროს ჩნდება აუცილებლობა, დამშეულ და გამათხოვრებულ მოსახლეობას შეახსენო, რომ ფული არ არის მთავარი, რადგან ფინანსურად შენს დონეზე მდგომი ადამიანი არ მოგისმენს, არ სჭირდება შენი შეგონება იმიტომ, რომ ფული აქვს და ასეთ დროს თავი ყველას (აბსოლუტურად ყველას) სხვაზე ჭკვიანი ჰგონია. თუ უცდია ბატონ ლევანს, ანალოგიური ტექსტი მილიონერთა გარემოცვაში ეთქვა. დარწმუნებული ვარ, არა, რადგან მას, უბრალოდ, არ მოუსმენდნენ და თუ ვინმე მოუსმენდა, მასზე ნაკლები ფული ექნებოდა. იერარქიული საფეხურები მილიონერებს შორის მკაცრადაა დაცული და ამის ნათელი მაგალითი ბადრი პატარკაციშვილის საქართველოში დაბრუნება იყო, რომლის შემდეგაც მასთან ყველა ქართველი ბიზნესმენი მივიდა და პირდაღებული უსმენდა. მაშინ ვახტანგ რჩეულიშვილმა თქვა, ბადრის უნდა მოუსმინო, რადგან მთელი ქართული ბიზნესი რომ აიღო, იმაზე მეტი ფული აქვსო. ამ დროს კი, შესაძლოა, სხვას, ისეთს, ვისაც მილიარდები არ ჰქონდა, ბევრად ჭკვიანური რამ ეთქვა, მაგრამ არავინ მოუსმენდა იმიტომ, რომ მთავარი ფულია და განცხადება — „ქართველი საზოგადოებისათვის ფული არ არის მთავარი“ — რბილად რომ ვთქვათ, სასაცილოდ ჟღერს.

**„...ეროვნული იდეოლოგიური პლატფორმის ჩემეული ხედვის მომდევნო წერილებად გაშლა...“ „...წინასწარ ვიხდი ბოდიშს ამ და მომდევნო წერილების შესაძლო ნაკლები ანალიტიკურობისა და დეკლარატიულობისათვის...“** ესეც ვასაძის ბოლო წერილიდანაა ამონარიდი და ბატონო ლევან, იმაზე თუ გიფიქრიათ, „ეროვნული იდეოლოგიური პლატფორმის“ თქვენეული ხედვა რამდენ ადამიანს აინტერესებს? იმაზე თუ გიფიქრიათ, ღმერთმა დაგიფაროთ და, ერთ დღეს ყველაფერი რომ დაკარგოთ და იმ რიგით ქართველად იქცეთ, ყოველდღიური საარსებო პურის ფული რომ აქვს საშოვნელი, იგივე გამოცემა თუ დაგითმობთ ამდენ ადგილს? მგონია, არა, თქვენც იცით, რომ არა და, მოდი, ნუღარ გვეტყვით ხოლმე, რომ ფული არ არის მთავარი.

ბატონო ლევან, კარგად იცით, ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ წასვლა არას გარგებთ ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, ივანიშვილის ავტორიტეტი კიდევ დიდია და მეორეც, მისი საბანკო ანგარიშები თქვენსას ძალიან აღემატება. სწორედ ამიტომ წერთ, რომ **„ბიძინა ივანიშვილმა თავი უკიდურეს საფრთხეში ჩაიგდო სააკაშვილის დესპოტურ რეჟიმთან პირადი დაპირისპირებით. ეს თავგანწირვა ბევრ ჩვენგანს არ გამოუჩენია და ასეთი ნაბიჯის გადამდგმელ პიროვნებას უსათუოდ ეკუთვნის ჩვენი საზოგადოებისაგან მეტი ნდობა და მოთმინება...“** ეს მოსაზრება ბევრისგან გამიგონია და არავის უთქვამს, რომ ივანიშვილთან ერთად საზოგადოებამაც ჩაიგდო თავი საფრთხეში. იმ საზოგადოებამ, რომელიც დაარბიეს, სცემეს, დაასახიჩრეს, დაატერორეს, დახვრიტეს, მაგრამ მაინც ვერ დააჩოქეს.

**ახლა რომ ჭკუას გვარიგებთ, ძალიან მაინტერესებს, ამ „დესპოტურ რეჟიმთან“ ბრძოლის დროს, 7 ნოემბერსა თუ 26 მაისს (და არ აქვს მნიშვნელობა, ვინ მართავდა აქციებს, რადგან ქუჩაში მაშინ საქართველო იდგა), თქვენ სად იყავით თქვენი ჩოხა-ახალუხიანად და ქამარ-ხანჯლიანად?! სად იყავით 2008 წლის აგვისტოში, მაშინ, როცა ის ქვეყანა, სადაც ჩვენი ჭკუის სასწავლი ფული იშოვეთ, საქართველოს გასრესით ემუქრებოდა? ახლა არ მითხრათ, „გალობანი სინანულისანი“ მქონდა დასამთავრებელი, ლონდონში, ჩემს ციხე-სიმაგრეში ვიჯექი და საქართველოზე ლოცვაში მქონდა მუხლები გადატყავებულიო... სად იყავით მაშინ, როცა იმ 30 ათას პატიმარს აწამებდნენ და ატერორებდნენ, დღეს რომ ითვლით და მისტირით, ანდა მაშინ, როცა ის ბიზნესმენები, ყველაფერი რომ დაკარგეს და მათხოვრებად იქცნენ, შველას ითხოვდნენ, მაშინ სად იყავით, ხმას რატომ არ იღებდით, თუნდაც ასე, ეპისტოლარულად, სტატიებით, ჭკუას რატომ არ არიგებდით სააკაშვილს, მერაბიშვილს, ოქრუაშვილს, ადეიშვილს, ანდა თქვენს მეგობარ გიგა ბოკერიას... სხვათა შორის, ეს ის ხალხია, ვის მეგობრობაზეც კრინტს არ ძრავთ... არადა, თუ სანდრო გირგვლიანს არ იცნობდით და არც მისი ტრაგედია გადარდებდათ, ზურაბ ჟვანიას ნაწამებ ფოტოებს დახედეთ და იქნებ გაგახსენდეთ, თუნდაც მისი მკვლელობის (ეს ხომ ხელისუფლების უკვე აღიარებული და დადასტურებული ფაქტია?!) შემდეგ რატომღა იყავით ჩუმად... ან თქვენ და ან თქვენი მეგობარი გიორგი მარგველაშვილი, კაცის კაცობით რომ მიიღო პრეზიდენტის პოსტი და ახლა დუშეთში, სტალინისეული ლამპის შუქზე (კიდევ კარგი, ნავთის ლამპა არ გინთიათ) იმ ეპისტოლეების შინაარსს გკარნახობთ, რისი საჯაროდ თქმის ვაჟკაცობა თავად არ ჰყოფნის!**

არადა, თქვენც და ჩვენც ვიცით, რომ ხელისუფლებაში ადრეც და ახლაც მყოფი ადამიანები თქვენი ბავშვობის მეგობრები არიან. ადრე ბოკერია იყო ხიდი პირველთან, ახლა მარგველაშვილი, რომელთანაც ნათელმირონიც გაკავშირებთ (პრეზიდენტი ლევან ვასაძის ვაჟის — ირაკლი ვასაძის ნათლიაა), ყველაზე დიდი გულშემატკივარი და მხარდამჭერი კი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე გყავთ და თუ ასე გტკივათ გული სამართლიანობის აღდგენაზე, მაშინ რატომ არ ამოიღეთ ხმა, როცა ეს უსამართლობა ყოველწუთიერად ხდებოდა და 9 წლის განმავლობაში სისტემური ხასიათი მიიღო. დუმდით იმიტომ, რომ გიგა, მიშა, ზურა, ვანო, შესაძლოა, გაბრაზებულიყო და ქონებას საფრთხე შექმნოდა, იმ ქონებას, რომელიც შემდეგ ასეთი წერილების გამოქვეყნების შესაძლებლობას არ მოგცემდათ.

**„რატომ არ შედგა ნაციონალური მოძრაობის, როგორც რეპრესიული, ანტიეროვნული და დანაშაულებრივი პოლიტიკური რეჟიმის სასამართლო პროცესი აქამდე, რა, დასავლეთი არ გვაძლევს უფლებას? ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელია, თუ იგი არის ჭიაყელა რესპუბლიკა, რომელსაც ელჩები და დასავლეთიდან დაფინანსებული არასამთავრობოები მართავენ დღემდე?“**

საინტერესო კითხვაა, ბატონო ლევან. არ იცით, რომ ჩვენი ქვეყანა არ არის დამოუკიდებელი, არც არასოდეს ყოფილა და სწორედ იმ მხარეს იხრება, რომელი მხრიდანაც ის დასაწვავი ფული სჩანს, თურმე, თქვენი აზრით, მნიშვნელოვანი რომ არაა. გჯერათ, რომ ბოლო დროს ქუჩაში გამართული რუსულდროშიანი აქციები მხოლოდ იდეის გამოა? თუ ის გჯერათ, რომ ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერ არასამთავრობოებს მართლა ქვეყნის მომავალი აინტერსებთ... დარწმუნებული ვარ, ეს ჩვენზე კარგად იცით, მაგრამ არ ამბობთ და ეს წერილიც მხოლოდ იმიტომ მოიფიქრეთ, რომ ბოლო დროს დავიწყებას მიეცა თქვენი სახელი. დავიწყებას მიეცა იმიტომ, რომ ხალხი ისევ საშოვარზეა გადაგებული და იმ საარსებო ფულის მოძიებაშია, თურმე მნიშვნელოვანი რომ არ არის.

რამდენიმე თვის წინ სვანეთში იყავით (პირველად) და გაოცებული დარჩით იმით, რომ საქართველოში კიდევ ერთი საქართველო აღმოაჩინეთ. იმაზე თუ გიფიქრიათ მაგ წერილის



წერის დროს, რომ სვანეთის სოფლების ნახევარზე მეტს ახლა მიწა აქვს დასამუშავებელი და ამას გუთნით აკეთებს იმიტომ, რომ ეს თქვენი და ჩვენი სახელმწიფო იქ ტრაქტორებს ვერ გზავნის, იქნებ თქვენ შეგეძინათ 2-3 ტრაქტორი და, უბრალოდ, გეჩუქებინათ რამდენიმე სოფლისთვის... მაგრამ არა, იმიტომ არა, რომ სვანურ სოფლებში მოსახლეობა ძალიან ცოტაა, თქვენ (ამჯერად „თქვენ“ პირობითი მცნებაა) მასა გჭირდებათ, ისეთი, ხბოს აღტაცებით რომ შემოგხედავთ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილს და საკურთხეველზე ამაყად მდგომს. ის თუ იცით, რომ სხვა, რიგით ქართველებსაც ძალიან უნდათ ჩოხა-ახალუხის ჩაცმა, მაგრამ მთლიანი კომპლექტი 2500 დოლარი ჯდება და ამის შესაძლებლობა არ აქვთ. მაგრამ ფული ხომ არ არის მთავარი, მთავარი ისაა, ფულიანი ხალხი რას ფიქრობს...

**„ნაზი სამშობლოს უხლებ ველებზე, ნაწვიმარ სიოდ გამომიძახე...“** ეს თქვენი ლექსიდან არის და რომელ უხლებ ველებზე, ლევან?! ახლა რომ მავთულხლართებია გაბმული თუ 2008 წელს ნაწვიმარ სიოდ ქართული სისხლით რომ სველდებოდა?! მაინც სად იყავი 2008-ში, რატომ არ ამბობ, ნეტავ...

# ბაჩუკი ქარდავა იმ პარტიებს ასახელებს, რომლებიც ერთ ბლოკში ერთიანდებიან



## იქნება თუ არა ახალი ოპოზიციური ფლანგის ლიდერი ირაკლი ოქრუაშვილი?

რუსუდან შელია
557-100-768

**როგორ მუშაობენ საქართველოში რუსული სპეცსამსახურების წარმომადგენლები და რატომ გახშირდა ქვეყანაში ევრაზიული კავშირის მხარდამჭერი აქციები, რამდენად ადეკვატურია საქართველოს მიმართ დასავლეთის მხარდაჭერა და რა ბერკეტი აქვს ოფიციალურ თბილისს რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ, როგორ განვითარდება მოვლენები თვითმმართველობის არჩევნებამდე და შექმნიან თუ არა არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები ბლოკს? „ვერსიას“ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ბაჩუკი ქარდავა ესაუბრა.**

— საქართველოში რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლებმა არასამთავრობო ორგანიზაციის მანტია მოირგეს და ანტისახელმწიფოებრივ პროპაგანდას ეწევიან. „ევრაზიული კავშირი“ და „ევრაზიული ფონდი“ რუსეთის სპეცსამსახურს წარმოადგენენ, პოსტსაბჭოთა სივრცეში კი ამ ქსელს დუგინი ხელმძღვანელობს, რომელმაც ცოტა ხნის წინ, რუსეთის მხარდამჭერებს გმირობისთვის მადლობა გადაუხადა. რეალურად, ევრაზიული კავშირი საბჭოთა კავშირისკენ სვლასა და საქართველოს დამოუკიდებლობაზე უარისთქმას ნიშნავს. შემთხვევითი არ არის, რომ ევრაზიული კავშირის მხარდამჭერები სწორედ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის წინ გააქტიურდნენ, მაგრამ მათ მიერ ორგანიზებული აქციები ნატო-ს სამიტსაც ეხმაურება. რუსეთს უკრაინის მოვლენებმა დაანახა, რომ აგრესია სწრაფი ტემპით უნდა განაგრძოს — ევრაზიული კავშირის ჩამოსაყალიბებლად მცირე დრო დარჩა. პუტინი უახლოეს მომავალში ეკონომიკური მდგომარეობის შენარჩუნებასაც ველარ შეძლებს. მან იცის, რომ მსგავსი შანსი აღარასოდეს ექნება.

— **რატომ მისცა ეს შანსი ევროპამ და რატომ შემოიფარგლა მხოლოდ ორაზროვანი განცხადებებით?**

— ეჭვი მეპარება, გრძელვადიან პერსპექტივაში რუსეთმა გაფართოება მოახერხოს, პირიქით, მისი დაშლის ალბათობა დღითიდღე იზრდება. რაც შეეხება დასავლეთს, მათი აქტივობით აღფრთოვანებული ნამდვილად არ ვარ, მაგრამ ზოგადად, ევროპა და ამერიკა რუსულ პრობლემასთან მიმართებაში, მეტი სიმკაცრით არასოდეს გამოირჩეოდა. ჩვენ უნდა ვიყოთ აქტიურები, რომ ევროპაც იძულებული გახდეს, საზოგადოების განწყობას ანგარიში გაუწიოს. თუ ქართველები ვიფიქრებთ, რა ვქნათ, რუსეთი დიდია და ბევრი დიდი თოფიც ექნებაო, ევროპაც ჩვენთვის თავს არ მოიკლავს. 9 აპრილის 25 წლისთავი რამდენიმე დღის წინ იყო, უნდა გვახსოვდეს — ქართველი ახალგაზრდების თავდადებამ რუსული ტანკები შიშველი ხელებით შეაჩერა, ერთ წელიწადში კი დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ!

— **უკრაინის მოვლენების ფონზე, საქართველოსთვის რუსეთიდან მომავალი საფრთხე უფრო მწვავე ხდება. ფიქრობთ, საზოგადოება ამ საფრთხეს დღესაც ადეკვატურად აღიქვამს?**

— ზოგადად, რუსეთის საოკუპაციო ჯარებს ქართველებიც შემოუძღვნენ, მაგრამ საუკუნეა ამ ადამიანებსა და მათ შთამომავლობას მოღალატის იარლიყი აქვთ. მათ მხოლოდ ქვეყანას კი არ უღალატეს, მომავალი თაობის წინაშე უმძიმესი დანაშაული ჩაიდინეს, რის გამოც მათმა ჯიშმა და ჯილაგმა საქართველოში ვერ გაიხარა. იგივე ბედი ელის ყველა მოღალატეს. ქართველები მოღალატეების დეფიციტს არასოდეს განვიცდიდით, მაგრამ მეხსიერება ხომ უნდა გვქონდეს — სულ ცოტა ხნის წინ, 2008 წელს საქართველოს მიწაზე რუსული ტანკები გრუხუნებდა, თვითმფრინავები კი ქართულ ტერიტორიებს ბომბავდნენ. არიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ დათვს ბაბაია უნდა დაუძახონ, მაგრამ ჩვენი დამოუკიდებლობისთვის აუცილებელია, საგარეო მიმართულებით ქვეყანაში საერთო იდეოლოგია ჩამოყალიბდეს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს საქართველო, რუსეთიდან მომავალ ნებისმიერ საფრთხეს დაუპირისპირდეს.

— **ოპოზიციამ თვითმმართველობის არჩევნებამდე ერთ პოზიციაზე შეთანხმება ჯერ კიდევ ვერ მოახერხა. უკვე გაარკვიეთ, სად არის თქვენი პოლიტიკური ძალის ადგილი?**

— პირადად მე და ედპ ყველაფერს ვაკეთებთ, არასაპარლამენტო ოპოზიციამ დიდი გაერთიანების ჩამოყალიბება შეძლოს. „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა ურთიერთობენ პრინციპით — ხელი ხელს ბანს... ამასობაში, გადაავიწყდათ, რომ ქვეყანაში სხვა პოლიტიკური ძალებიც არსებობენ. ჩანს, ეს მდგომარეობა ორივეს აწყობს, სწორედ ამიტომ, ჩვენი ძალების კონსოლიდაცია აუცილებელია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ოპოზიციური აჯაფსანდალი მივიღოთ. პირიქით, ერთიანი საარჩევნო ბლოკი ერთი იდეოლოგიისა და შეხედულებების მქონე პოლიტიკურმა ძალებმა უნდა შევქმნათ. ამის შანსი ჯერ კიდევ არსებობს! მინიმუმ 7-8 პარტია გავერთიანდებით, რაც ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ლანდშაფტს აუცილებლად შეცვლის.

— **ოპოზიციურ ფლანგზე რამდენიმე გაერთიანების შექმნის მოლოდინი ისედაც არსებობდა. თქვენ რა ტიპის ერთობას აყალიბებთ ან რომელ პოლიტიკურ ძალებთან?**

— არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთობა რეალურია, თუმცა ამ გაერთიანებაში იმ ძალებს არ ვგულისხმობ, რომლებიც რუსეთს ოკუპანტს ვერ უწოდებენ. ვერ დავაკონკრეტებ, ნინო ბურჯანაძეა თუ სხვა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ მათ ვესაუბრებით, ვინც არ ფიქრობს, რომ მისი მომავალი რუსეთია. სხვათა შორის, ბურჯანაძე ერთს ამბობს და საარჩევნო პროგრამაში სხვა რამ უწერია. ფაქტია, მან პარტიების ნაწილიც შეისყიდა და კოალიციაც მხოლოდ საკუთარი ამბიციებისთვის სჭირდება. შალვა ნათელაშვილი არჩევნებში ყოველთვის დამოუკიდებლად გადიოდა და ახლაც ასე იქნება. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ბურჯანაძისა და ნათელაშვილის გარეშე ერთობა ვერ შედგება, ცდება. არსებობს პარტია „ენძელა“, რომელიც პარლამენტში წარმოდგენილი არ არის, მაგრამ რეგისტრირებულია. თუ მისი ლიდერი გამოვა და იტყვის, მეც არასაპარლამენტო ოპოზიციას წარმოვდგენ, მაგრამ კოალიციაში არ ვარ, ამიტომ ოპოზიციური ერთობაც ვერ შედგაო, გამართლებული იქნება? ჩემთვის პრინციპულ საკითხს ყოველთვის იდეოლგიური ხედვები წარმოადგენდა.

— **რატომ არ ასახელებთ იმ პარტიებს, რომლებთანაც გაერთიანებაზე საუბრობთ?**

— კი ბატონო, ვასახელებ: სერგო ჯავახიძის „სამართიანი საქართველოსთვის“, ზურაბ ხარატიშვილის პოლიტიკური მოძრაობა, აქ სრუპრიზსაც არ გამოვრიცხავ და მოგვიანებით ნახავთ... ალბათ, ევროპელი დემოკრატები, ქალთა პარტია. გარკვეული დოზით, ჩართულია ილია ჭავჭავძის საზოგადოება, თამრიკო ჩხეიძე, შეიძლება ვისაუბროთ მერაბ კოსტავას საზოგადოებაზეც, მაგრამ ეს ყველაფერი ჯერ სამუშაო პროცესშია. არაფერს გამოვრიცხავ, მთავარია, არასაპარლამენტო ოპოზიცია გაერთიანდეს.

— **თქვენი ლიდერი მართლა ირაკლი ოქრუაშვილი იქნება? გავრცელდა ინფორმაცია, რომ თავდაცვის ყოფილ მინისტრთანაც მართავთ კონსულტაციებს.**

— ირაკლი ოქრუაშვილის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია სიცრუეა. ამით მხოლოდ პოლიტიკური ფონის შექმნა უნდათ, რათა შემდეგ ზოგიერთმა პარტიებმა განაცხადონ, ირაკლი ოქრუაშვილი ლიდერად არ გვინდაო. გარწმუნებთ, თავდაცვის ყოფილ მინისტრთან მოლაპარაკებებს არ ვაწარმოებთ! სამწუხაროდ, პრობლემები ახლაც არსებობს, მაგრამ გაერთიანების ალბათობა საკმაოდ მაღალია.

---

# „ოცნების“ საარჩევნო სია ყოფილი ნაციონალებით არ უნდა დაკომპლექტდეს“



რუსუდან შელია
557-100-768

**ნაციონალურ მოძრაობას დესტრუქციულ ქმედებებში ამხელს, კოალიციაში კი ყოველგვარ დაპირისპირებას გამორიცხავს. იმასაც ამბობს, რომ „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში უკანონობაში შემჩნეული ყოფილი ნაციონალების შეყვანის მომხრე არ არის. რატომ გახშირდა ქვეყანაში საპროტესტო აქციები და როგორ ემზადება კოალიცია თვითმმართველობის არჩევნებისთვის? „ვერსიის“ კითხვებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გიორგი ვოლსკი პასუხობს.**

— როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებსგარეთ, ნაციონალური მოძრაობა დესტრუქციული ქმედებების განხორციელებას ცდილობს. ქვეყანაში დაძაბულობისა და მერყევი ვითარების შექმნა მათ ინტერესებშია.

— **რეგიონებსა და კოალიციის ოფისთან გახშირებულ საპროტესტო აქციებს მხოლოდ ნაციონალების „დამსახურებად“ მიიჩნევთ?**

— არაფერს ვუკავშირებ, მაგრამ არც გამოვრიცხავ, რადგან „თავისუფალი ზონის“ წევრები ყოველთვის არიან იქ, სადაც პროტესტია. ზოგადად, საპროტესტო აქციები დემოკრატიული პროცესის ნაწილია. ნაციონალური მოძრაობის დესტრუქციულ ქმედებებში შალვა თათუხაშვილის გარდაცვალების საქმის წამოწევას ვგულისხმობ — ყველა პასუხი ზედაპირზე დევს. პროკურატურასთან ურთიერთობის პერიოდში, მას დაზიანება არ მიუღია.

— **შალვა თათუხაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით საერთო აზრი უმრავლესობაშიც ხომ არ არსებობს, რაც პარლამენტში გამართული საგანგებო სხდომის შემდეგაც გამოიკვეთა?**

— უმრავლესობაში აზრთა სხვადასხვაობა მსგავს ვითარებაში პროკურატურის წარმომადგენლის პარლამენტში მოსმენის მიზანშეწონილობამ გამოიწვია. ჩემი აზრით, მთავარი პროკურორის მოადგილეს ყველა კითხვაზე პასუხი ჰქონდა, მაგრამ ნაციონალებმა საუბრის საშუალება არ მისცეს.

— **მხოლოდ ეს ფაქტი არ გახდა საფუძველი, კოალიციაში დაპირისპირებასა და მის დაშლაზე საუბარი კიდევ უფრო აქტუალური გამხდარიყო. შეთქმულების ვერსიაც კი გაჩნდა — ირაკლი ალასანია გიგა ბოკერიასთან მოლაპარაკებებს მართავსო...**

— კოალიციაში დაპირისპირების წინაპირობა არ არსებობს. ბუნებრივია, ვკამათობთ და ასე იქნება სულ, მაგრამ აზრთა სხვადასხვაობას საზოგადოების დიდი ნაწილი მიესალმება. შეთქმულებებთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაცია არარეალურია.

— **თქვენივე შტაბის წევრები ღიად საუბრობენ, რომ საარჩევნო კანდიდატები ყოფილი ნაციონალებით კომპლექტდება...**

— სიის დაკომპლექტება აქტიურად მიმდინარეობს. ვიზიარებ იმ ადამიანების მოსაზრებას, რომლებიც აცხადებენ, რომ „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წარმომადგენლები, რომლებიც გუშინ ჩვენი მიმართულებით ქვებს ისროდნენ, არ უნდა შევიდნენ. ხშირად, ადამიანებს აზრის გაზიარებისას არასწორი ინფორმაციის გავრცელება სჩვევიათ. ვსწავლობთ, რა ვითარებაში გახდა კონკრეტული პირი ნაციონალური მოძრაობის წევრი. საბოლოოდ, ყველაფერი მისი საქმიანობით ფასდება. საერთოდ, კოალიციის სიებში მსგავსი შემთხვევები იშვიათი გამონაკლისია.

— **ორ რეგიონს დაგისახელებთ: გარდაბანი და გურია, სადაც მსგავსი პრეტენზიები თქვენი შტაბის წევრებს გაუჩნდათ.**

— დიახ, მაგრამ საბოლოო სიები არავის უნახავს. განხილვა კონსულტაციების დონეზე მიმდინარეობს, შემდეგ „ქართული ოცნების“ შტაბი განიხილავს და კოალიციის ფორმატში მუშავდება. საკმაოდ ბევრი ფილტრი არსებობს და, შესაბამისად, უახლოეს მომავალში სიებში უამრავი რამ შეიცვლება. ყველას ვთხოვ, დამშვიდდეს, ვისაც „ქართულ ოცნებაზე“ გული შესტკივა ან არ შესტკივა და სიების საბოლოო ვარიანტს დაელოდოს.

— **საქართველოში რუსული პასპორტები რიგდება. რა პრევენციულ ღონისძიებას მიმართავს ხელისუფლება ჯავახეთში მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად?**

— საქართველოში რუსული პასპორტების მასობრივად დარიგების შესახებ ინფორმაციას არც საგარეო საქმეთა სამინისტრო და არც შვეიცარიის წარმომადგენლობა მიდასტურებს.

— **ფოტოებიც არ გინახავთ, სადაც შვეიცარიის საკონსულოსთან მოქალაქეთა რიგი დგას?**

— შესაძლოა, ეს პროცესი ორი დღის განმავლობაში დაფიქსირდა, თუმცა აჟიოტაჟის საფუძველი არ არსებობს... რუსეთის მხრიდან ნებისმიერი ქმედება მოსალოდნელია. ის საკმაოდ აგრესიული გახდა. მთავრობა შესაბამის სტრატეგიაზე მუშაობს, რათა მოსალოდნელი საფრთხეები აღმოიფხვრას. საქართველოს თავდაცვის დიდი რესურსი არ გააჩნია, ამიტომ ჩვენი პარტნიორების მხარდაჭერას ველით. ისინი ცდილობენ, ეფექტური ზომები მიიღონ, რათა რუსეთი მოლაპარაკების მაგიდასთან დასვან.

— **რუსეთთან მოლაპარაკების პერსპექტივა ხელისუფლებისთვის ჯერ კიდევ აქტუალურია?**

— დიახ, მოლაპარაკების თემა, რომლის გამოც ჩვენი ოპონენტები გვძრახავდნენ, აქტუალურია; მეტიც — არის მოთხოვნა, რუსეთთან მოლაპარაკება გაგრძელდეს და დასავლეთისთვის ამაში მიუღებელი არაფერია. პერსპექტივებზე საუბარი ნაადრევია, მაგრამ ევროკავშირი და ამერიკა ამ მიმართულებით გააქტიურებისკენ მოგვიწოდებს.

# დარღვევები ქონებრივ დეკლარაციებში — რომელ შპს-ებში აქვთ წილი და რა უძრავ ქონებას ფლობენ გამგებლები და მათი მოადგილეები

## რატომ არ ითვალისწინებს კანონი მკაცრ სანქციებს „ქონების დამმალავი“ ჩინოვნიკების მიმართ

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგს განაგრძობს. რამდენიმე თვის წინ, პარლამენტის დეპუტატების მიერ შევსებულ ქონებრივ დეკლარაციებში ხარვეზები გამოვლინდა — დეპუტატებმა სრულად არ ასახეს მათ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონება. ამჯერად, სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთისა და აჭარის თვითმმართველობების თანამდებობის პირთა ნაწილის ქონებრივ დეკლარაციებშია ქონება და ბიზნესსაქმიანობა არასრულად ასახული.**




### სამეგრელო-ზემო სვანეთი

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა, გოჩა დგებუაძემ ქონებრივი დეკლარაცია 2013 სექტემბერში შეავსო. იგი შპს „კოლხი 99“-ის პარტნიორია, თუმცა მითითებული არ აქვს, რომ ამ შპს-ს 33.34%-იანი წილის თანამფლობელი მეუღლე, ლალი ნადარაია-დგებუაძეა. შპს „კოლხი 99“ სენაკში, ჭავჭავაძის ქუჩა №12ა-ში მდებარეობს. დგებუაძე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთსაც ფლობს, რომლის ფართობი 5 032 კვ.მ. ამ მიწაზე, ხუთი სხვადასხვა შენობა-ნაგებობაა. დგებუაძის დეკლარაციაში მითითებული არაა, რომ თავად, შპს „დიტომოტორსის“ 100%-იანი წილის მფლობელია, მისი მეუღლე კი — შპს „თრეველერის“ 100%-იანი წილის მფლობელი და დირექტორი. არც სენაკში, დემურიას №31-ში მდებარე, 426 კვ.მ ფართის სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) მიწა შენობა-ნაგებობა, საერთო ფართობით 444 კვ.მ. აქვს დეკლარირებული.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა, ედიშერ თოლორაიამ ქონებრივი დეკლარაცია 2014 წლის თებერვალში შეავსო, მაგრამ არ მიუთითა, რომ მეუღლე, მაკა ღურწკაია 2011 წლიდან შპს „თბილი კერა 2011“-ის 100%-იანი წილის მფლობელია, მისი და, ეკატერინე თოლორაია კი, შპს „ორთეს“ 50%-იან წილს ფლობს. დეკლარაციაში არც მაკა ღურწკაიას საკუთრებაში არსებული ავტოსადგომია მითითებული, რომელიც თბილისში, ნუცუბიძის №14ა-ში მდებარეობს.

ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ბაბილუამ ქონებრივი დეკლარაცია 2014 წლის თებერვალში შეავსო და არ მიუთითა, რომ შპს „ორიონი — ფოთის ჯგუფის“ 50%-იანი წილის მფლობელია. 2013 წლის თებერვალში შევსებულ დეკლარაციაში, მითითებული არ ჰქონდა, რომ იმ პერიოდში, შპს „მ.კ“-ს 50%-იან წილს ფლობდა. ხარვეზი ახალ დეკლარაციაში გამოასწორა და აღნიშნა, რომ ამჟამად, ამავე კომპანიაში, 100%-იან წილს ფლობს (?!). დეკლარაციაში არ წერია, რომ დავით ბაბილუას შვილი, ვასილ ბაბილუა, ფოთში, კლდიაშვილის 66-ში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 535 კვ/მ მიწის ნაკვეთს ფლობს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან კონჯარიამ ქონებრივი დეკლარაცია 2013 წლის აგვისტოში შეავსო და არ მიუთითა, რომ მეუღლე ია ხვინგიამ, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 2013 წლის 27 ივნისს, ერთჯერადი ფინანსური დახმარების (შემოსავლის) სახით, 10 814 ლარი მიიღო. 2011 წლიდან, ია ხვინგია არაკომერციული არასამეწარმეო იურიდიული პირის (ააიპ) „სიბრძნის პირამიდის“ გამგეობის თავმჯდომარეა. 2011 წლიდან იგი ასევე ასოციაცია „გაენათის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე გახლავთ. ორივე ორგანიზაცია დაინტერესებულ პირებს სხვადასხვა საგანში კერძო გაკვეთილებს სთავაზობს. დეკლარაციაში გაურკვეველია, მიიღო თუ არა ხვინგიამ რაიმე სახის ფინანსური შემოსავალი ამ ორგანიზაციებიდან. კანონის მიხედვით, ლევან კონჯარია მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო ვალდებული ეს მონაცემი დეკლარაციაში შეეტანა, თუ მისი მეუღლე, აღნიშნული პოზიციიდან შემოსავალს მიიღებდა.

### ქონებრივი დეკლარაციები იმერეთში

ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა, თემურ ჩუბინიძემ ქონებრივი დეკლარაცია 2013 წლის 28 დეკემბერს წარადგინა. დოკუმენტში მითითებული არაა მისი მეუღლის, ნინო ცირეკიძის საკუთრებაში არსებული 7%-იანი წილი, შპს „სამთო საინვესტიციო კორპორაციაში“, რომელსაც იგი სამეწარმეო რეესტრის მონაცემების შესაბამისად ფლობს.

ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ლევან კირკიტაძემ ქონებრივი დეკლარაცია 2013 წლის ივნისში შეავსო და არ მიუთითა საკუთრებაში არსებული 25%-იანი წილი შპს „ნატახტარი — იმერეთში“, რომელსაც კირკიტაძე სამეწარმეო რეესტრის მონაცემების თანახმად ფლობს.

### როგორ ავსებენ დეკლარაციებს აჭარაში

აჭარის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მედეა ვასაძემ, ქონებრივი დეკლარაცია 2013 წლის 21 დეკემბერს წარადგინა. შესრულებული ანაზღაურებადი სამუშაოს გრაფაში 2013 წელს საადვოკატო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი – 1 735 ლარი მიუთითა. ვასაძე აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგად გახდა. ამ პოზიციაზე არჩევის შემდეგ, საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მას კანონით ეკრძალებოდა, სხვა სახის ანაზღაურებადი სამუშაოც შეესრულებინა.

აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრმა, ირაკლი ჯაშმა საჯარო მოხელეთა ფინანსური დეკლარაცია 2014 წლის 6 იანვარს შეავსო, მაგრამ არ მიუთითა, რომ 2012 წლის 23 აპრილს რეგისტრირებული, შპს „სალხინოს“ 100%-იანი წილის მფლობელია. ჯაში აჭარის ნარდისა და სამაგიდო სპორტული თამაშების ასოციაციის პრეზიდენტი და ალმასკომის წევრია, მაგრამ უცნობია, მიიღო თუ არა შემოსავალი ამ პოზიციიდან. საჯარო რეესტრის მონაცემებით, მეუღლე, გულნარა ჯაში, 2 018 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას ფლობს ბათუმის დასახლება კახაბერში, მაგრამ ჯაშმა ეს ქონება დეკლარაციაში არ მიუთითა.

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე იური ქათამაძემ ქონებრივი დეკლარაცია 2013 წლის 5 მარტს წარადგინა და არ მიუთითა, რომ მის სახელზე გაფორმებულია უძრავი ქონება: შუახევის რაიონის საკრებულო უჩამბაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 4 ნაკვეთი (220 კვ.მ; 756 კვ.მ; 2 327 კვ/მ, 3 579 კვ.მ).

### რა ცვლილებებს ითხოვენ ექსპერტები კანონში?

აღნიშნული კვლევა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ზუგდიდის ოფისის ხელმძღვანელმა, **მალხაზ ჭკადუამ** ჩაატარა. მას შემდეგ, რაც კვლევის შედეგები ორგანიზაციის ვებგვერდზე განთავსდა, მალხაზ ჭკადუას რამდენიმე საჯარო მოხელე დაუკავშირდა და ხარვეზის გამოსწორებას დაპირდა, თუმცა უშედეგოდ: **„ხარვეზები არ გამოასწორეს, შესაბამისად, მონაცემები არ შეცვლილა. ოსეთი შემთხვევაც გვქონდა, დეკლარაციის მიხედვით, ჩანდა, რომ საჯარო მოხელემ შეცდომა დაუშვა, სინამდვილეში კი, სხვა ვითარებაა. მაგალითად, წალენჯიხის რაიონის გამგებელმა დეკლარაციაში მიუთითა შემოსავალი, რომელიც მისივე საკუთრებაში არსებული შპს-დან მიიღო. არადა, გამგებლად დანიშვნის შემდეგ, კანონის შესაბამისად, მან ეს შპს დატოვა; აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მედეა ვასაძემაც, შემოსავალი საადვოკატო მომსახურებიდან 2012 წლის ოქტომბრამდე მიიღო, ვიდრე დეპუტატი გახდებოდა. ხშირად, დეკლარაციებში არ ჩანს უძრავი ქონება, რომელსაც საჯარო მოხელეები ან მათი ოჯახის წევრები ფლობენ“.**

რა სანქციას ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა დეკლარაციაში საკუთრებაში არსებული ქონების არასახვის შემთხვევაში? როგორ უნდა დაისაჯოს ამ შემთხვევაში საჯარო მოხელე? მალხაზ ჭკადუას განმარტებით, ასეთ შემთხვევებს საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს და მთავარი რეკომენდაცია, რომლითაც „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მკვლევარები საქართველოს ხელისუფლებას მიმართავენ, კანონში ამ ტიპის ცვლილების შეტანაა: **„მაქსიმალური სანქცია, ჯარიმაა. სამწუხაროდ, კანონში არაა გაწერილი, რომ ქონებრივი დეკლარაციების არასწორად წარდგენისას ან საკუთრებაში არსებული ქონების დამალვისას, საჯარო მოხელის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს. მიმაჩნია, ეს საკითხი პარლამენტმა უნდა განიხილოს და კანონი ამ მიმართულებით დახვეწოს, რათა საჯარო მოხელეების საქმიანობის გამჭვირვალობა ამაღლდეს. თანამდებობის პირებმა კი მეტი პასუხისმგებლობით უნდა შეავსონ დეკლარაციები“.**

კვლევა, რომელიც პარლამენტის დეპუტატების ქონებრივ დეკლარაციებში აღმოჩენილ ანალოგიურ ხარვეზებს ეხებოდა, კახა ურიადმყოფელმა ჩაატარა. რა სანქციები არსებობს „ქონების დამმალავი“ დეპუტატების წინააღმდეგ? „ვერსიასთან“ საუბრისას კახა ურიადმყოფელმა აღნიშნა, რომ კანონი არც ამ შემთხვევაში ითვალისწინებს პარლამენტარების დაჯარიმებას. თუ გაირკვევა, რომ დეპუტატი სამეწარმეო საქმიანობასაც ახორციელებს, რაც კანონით ეკრძალება, საკითხს საკანონმდებლო ორგანოს საპროცედურო საკითხთა კომისია განიხილავს და ხარვეზის გამოსწორებას მოითხოვს. მკაცრ სანქციებს კი, საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

ვერსიანიუსი

## ხარვეზები მოსმენებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო პაკეტში



ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით, პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო პაკეტი შეიცავს ხარვეზებს, როგორც სახელმწიფო, ასევე საზოგადოების უსაფრთხოების კუთხით, — შეფასების ავტორი, პარლამენტში ინიცირებულ ცვლილებებთან დაკავშირებით სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის ფარგლებში შექმნილი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფია. საბჭოს აპარატის წარმომადგენლის, ლევან ღირსიაშვილის განმარტებით: **„უკანონო მოსმენები ისე უნდა აღიკვეთოს, არ დაზარალდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოება. ამ საკითხზე სტრატეგია უნდა შემუშავდეს და საკანონმდებლო ცვლილებები მის ფარგლებში განხორციელდეს“.**

საკანონმდებლო პაკეტი, რომლის საფუძველზეც პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის მოპოვება მკაცრად რეგლამენტირებული ხდება, პარლამენტს გასული წლის გაზაფხულზე წარედგინა, საკომიტეტო განხილვების პროცესი კი, მხოლოდ გასულ კვირას დაიწყო. მიზეზი, პროექტთან დაკავშირებით მთავრობის უარყოფითი პოზიცია და შესაბამისი დასკვნა გახდა. საკანონმდებლო პაკეტის დახვეწის საქმეში მოგვიანებით უცხოელი ექსპერტებიც ჩაერთნენ.

ლევან ღირსიაშვილი ადასტურებს, რომ არსებობს მთავრობის დასკვნა და ამ დოკუმენტს ახლა სამუშაო ჯგუფი ეცნობა. **„როგორც ვიცი, დასკვნა, ჯამში, უარყოფითია“,** – აცხადებს ღირსიაშვილი.

საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონიდან „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ გადადის ისეთი სახის ღონისძიებები, რომლებიც მხოლოდ მოსამართლის განჩინებით ხორციელდება. კანონპროექტი აყალიბებს ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების პრინციპებს, რომლებიც, ავტორთა განმარტებით, სრულად შეესაბამება და ასახავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ აღიარებულ სტანდარტებს. ფარული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მაშინ, როცა სხვა საშუალებებით დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება შეუძლებელია ან ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გარეშე არსებითად გართულდება სისხლის სამართლის საქმის გამოძიება. საკანონმდებლო პაკეტი პარლამენტში არასამთავრობო ორგანიზაციათა საინიციატივო ჯგუფის სახელით შევიდა, ინიცირებულია იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ.

*„ინტერპრესნიუსი“*



## შსს-მ ნარკოდანაშაულისთვის ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1977 წელს დაბადებული, წარსულში ნარკოდანაშაულისთვის ორჯერ ნასამართლევი ოთარ მ. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცავებმა სოფელ ფონიჭალაში, დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ეზოს ჩხრეკისას, ლითონის მილში დამალული 43 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებული 25,5862 გრ ნარკოტიკი 0,1822 გრ ჰეროინს შეიცავს.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

*„ვერსიანიუსი“*



## თბილისში ტუბერკულოზის სამკურნალო ახალი ცენტრი გაიხსნება

შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის განცხადებით, ახალი ცენტრი ექსპლუატაციაში რამდენიმე დღეში შევა და ის 17 საწოლზე იქნება გათვლილი: **„ამ პროექტმა, არსებული 22 მილიონის გარდა, თვეში დამატებით 50 ათასი ლარი მოითხოვა. ეს თანხა ხმარდება ახალი შენობის ფუნქციონირებას, კომუნალურ, ადმინისტრაციულ ხარჯს... შენობა უკვე მზად არის, უბრალოდ, ტესტირებას გადის სავენტილაციო და წყალმომარაგების სისტემები“.**

*„პირველი“*



## პედაგოგთა შეფასების ახალი სისტემა იქმნება

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, თამარ სანიკიძის განმარტებით, შესაბამის პროექტზე გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი მუშაობდა: **„სიახლე იქნება, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული ნაწილის შეფასების კუთხით. კომპლექსური მიდგომა, მოგვცემს საშუალებას, დავადგინოთ მასწავლებლის კომპეტენცია და პედაგოგს იმის საშუალება მივცეთ, უკეთ დაგეგმოს თავისი სამუშაო სამომავლოდ“.**

თამარ სანიკიძემ ასევე უარყო გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს, ნამბალოს სკოლის მშენებლობა შეფერხებით მიმდინარეობს. მისი თქმით: **„მშენებლობა გაწერილია წელიწადნახევრის განმავლობაში და არანაირი შეფერხება არ არის. იქ ბავშვები ძალიან ცუდ მდგომარეობაში არიან, რადგან წინა ხელისუფლებამ მათ სკოლა დაუნგრია და ახალი არ აუშენა. ჩვენ ყველა საჭირო პროცედურა თავიდან გავიარეთ და მშენებლობა დავიწყეთ“.**

*„ინტერპრესნიუსი“*

# „ოჯახი მეღუპება, მოვითხოვ, „პოპულის“ ვალი, 45 ათასი ლარი დამიბრუნონ!“




### რა კაბალურ პირობებს სთავაზობდა „ფუდმარტის“ კომერციული დირექტორი თამარ ჩაჩანიძეს და რა სქემით გადაიფორმა არჩილ გეგენავამ კომპანიის ობიექტები ერთ ღამეში

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**„ვერსიას“ სუპერმარკეტების ქსელ „პოპულის“ ერთ-ერთი მიმწოდებელი დაუკავშირდა. თამარ ჩაჩანიძე ფიზიკური პირია, რომლის მიმართაც კომპანიას 45 000-ლარიანი დავალიანება დაუგროვდა. მისი თქმით, „პოპულის“ ამჟამინდელი მმართველი კომპანია „ფუდმარტი“ ძველი კრედიტორების დავალიანებას არ ისტუმრებს.**

ფიზიკური პირი თამარ ჩაჩანიძე ჭიათურის რაიონის ერთ-ერთი სოფლიდანაა. მას მცირე საოჯახო მეურნეობა აქვს და ყველს აწარმოებს, რომლითაც წლების განმავლობაში სუპერმარკეტების ქსელ „პოპულს“ ამარაგებდა. 2013 წელს, მას შემდეგ, რაც „პოპულს“ ფინანსურად გაუჭირდა და კრედიტორების, მიმწოდებლებისა და დისტრიბუტორების დავალიანება დაუგროვდა, თამარ ჩაჩანიძეც მათ რიცხვში აღმოჩნდა: **„კომპანიას ჩემი, დაახლოებით, 45 000 ლარი ვალი დაუგროვდა. ჩვენისთანა უბრალო ოჯახისთვის ეს ძალიან დიდი თანხაა. ამას ისიც ემატება, რომ ორი ბანკიდან კრედიტი გვაქვს აღებული და პროცენტის გადახდა რეგულაურად გვიწევს. 2013 წლის ნოემბერში, მას შემდეგ, რაც „პოპული“ კომპანია „ფუდმარტმა“ შეიძინა, კომერციულმა დირექტორმა, ბექა პეტრიაშვილმა გვითხრა, თუ ხელშეკრულებას ხელს მოაწერთ, ჩვენი ვალის 70%-ს გაგისტუმრებთ, ოღონდ გადახდას ახლავე კი არა, ორი წლის შემდეგ დავიწყებთ 4-წლიანი გრაფიკითო. მოსაფიქრებლად ერთკვირიანი ვადა მოგვცეს, მაგრამ პირობები იმდენად კაბალური იყო, არ დავთანხმდი და არც ხელშეკრულებაზე მოვაწერე ხელი. ამის შემდეგ, 2013 წლის 31 დეკემბერს, სასამართლოში სარჩელი შევიტანე და ვალის გადახდა მოვითხოვე. სარჩელი „პოპულის“ წინააღმდეგაა, რადგან ხელშეკრულება სწორედ ამ კომპანიასთან გვქონდა გაფორმებული. ერთი თვის წინ, სასამართლომ ჩვენ სასარგებლოდ მიიღო გადაწყვეტილება — კომპანიას დაავალა, ჩვენი ვალი სრულად დაეფარა. სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, საქმე აღმასრულებელთან გადავიდა, მაგრამ მან გვითხრა, ვერაფრით დაგეხმარებით, რადგან მსგავსი ტიპის 50-მდე საქმე მაქვს აღსასრულებელიო. გაურკვევლობაში ვარ, არ ვიცი, ვის მივმართო ან რა გზას დავადგე, ოჯახი მეღუპება“.**

თამარ ჩაჩანიძის თქმით, ვიდრე სასამართლოს ვალის გასტუმრების შესახებ სარჩელით მიმართავდა, „პოპულის“ ერთ-ერთი ობიექტის დაყადაღება მოითხოვა, მაგრამ, რადგან ბაჟი გადახდილი არ ჰქონდა, ობიექტის დაყადაღების მოთხოვნა არ დაუკმაყოფილეს. ჩაჩანიძე ამბობს, რომ ეს ობიექტი მეორე დღესვე გაყიდეს:

**„იცით, როგორ გაიყიდა „პოპულის“ ობიექტები? ერთ ღამეში, სასწრაფო წესით, 200-ლარიანი ჩეკებით გადაიფორმა ეს ობიექტები არჩილ გეგენავას კომპანია „ფუდმარტმა“, რომ კრედიტორებს, დისტრიბუტორებსა და მომწოდებლებს მათი დაყადაღება არ მოესწროთ. მოგვიანებით, ისიც გავიგე, რომ მხოლოდ იმ მიმწოდებლების ვალი გაისტუმრეს, ვინც მოასწრო და „პოპულის“ ობიექტები დააყადაღა. ჩვენ, უბრალო ხალხი კი, უსახსროდ დაგვტოვეს“.**

თამარ ჩაჩანიძე იმასაც გვიამბობს, რომ „ფუდმარტის“ გენერალურ დირექტორთან, ირაკლი კასრაძესთან უშუალო კავშირი არ ჰქონია, მაგრამ „პოპულის“ შესყიდვიდან რამდენიმე დღეში, კასრაძე მიმწოდებლებს დაუკავშირდა და პროდუქციის მიწოდების განახლება სთხოვა. შესაბამისი ხელშეკრულებაც გააფორმეს, რის საფუძველზეც თამარ ჩაჩანიძემ მხოლოდ ერთხელ მიაწოდა ყველი „ფუდმარტს“ და ანაზღაურებაც მიიღო. ძველი ვალის შესახებ კი, განუცხადეს, რომ ვერ გადაუხდიდნენ. მეტიც, „ფუდმარტის“ წარმომადგენლებმა ჩაჩანიძეს ისიც უთხრეს, ძველი დავალიანების მოთხოვნით, სასამართლოში სარჩელის შეტანას აზრი არ აქვს, რადგან „ფუდმარტს“ თქვენ წინაშე არავითარი ვალდებულება არ აქვს. თუ ვალის ნაწილს, თანაც ორი წლის შემდეგ, ოღონდ ოთხწლიანი გრაფიკით გაგისტუმრებთ, ეს მხოლოდ ჩვენი კეთილი ნება იქნება და არა ვალდებულების შესრულება მიმწოდებლის წინაშეო: **„თქვენთან ინტერვიუში, „პოპულის“ დამფუძნებლის, ევგენი ფიჩხაიას ადვოკატი, ლაშა ნოდია ამბობდა, რომ აუცილებელია „პოპულის“ გადახდისუუნარობის პროცესის დაწყება, რათა მომწოდებლები თანაბარ პირობებში აღმოვჩნდეთ და კომპანიამ ჩვენი დავალიანება გაისტუმროს. მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაში, ეს ერთადერთი გამოსავალია. იმედი მაქვს, ბატონი ევგენი პროცესს მოიგებს, თორემ სხვა შემთხვევაში, ვალს არავინ გამისტუმრებს და გამორიცხული არაა, ბანკმა სახლიც კი გამიყიდოს. როგორც გითხარით, კრედიტი გვაქვს აღებული და თუ პროცენტს არ გადავიხდით, რომელი ბანკი გვაპატიებს ამას?“.**

„ვერსია“ უკვე წერდა, რომ „პოპულის“ დამფუძნებელმა და 12%-იანი წილის მფლობელმა, ევგენი ფიჩხაიამ სასამართლოს სარჩელით მიმართა და იმ ხელშეკრულების ბათილად ცნობა მოითხოვა, რომლითაც სუპერმარკეტების ქსელის „პოპულის“ აქტივები „ფუდმარტის“ მფლობელობაში გადავიდა. თბილისის საქალაქო სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელი, საფუძვლიანად მიიჩნია და დაასკვნა, რომ „ფუდმარტს“ მთელი რიგი ნივთების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა ეკრძალება.

ევგენი ფიჩხაიას ადვოკატმა, **ლაშა ნოდიამ** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ სასამართლო დავის დაწყების მიზანი იმ სტატუს-კვოს აღდგენაა, რაც „ფუდმარტსა“ და „პოპულს“ შორის, გარიგების განხორციელებამდე იყო. გარდა ამისა, „პოპულმა“ უნდა დაიწყოს გადახდისუუნარობის პროცესი, რათა ყველა კრედიტორი, მიმწოდებელი და დისტრიბუტორი თანაბარ პირობებში ჩადგეს და მათი ვალდებულებები სამართლიანად დაკმაყოფილდეს. ლაშა ნოდიამ „ფუდმარტის“, „პოპულისა“ და „პოპულის“ მმართველი „იოლის“ წარმომადგენლებისგან წერილობითი ინფორმაცია გამოითხოვა, რათა გაერკვია, დაიწყო თუ არა „ფუდმარტის“ ხელმძღვანელობამ „პოპულის“ კრედიტორებისა თუ მიმწოდებლების ვალების გასტუმრების პროცესი. მისი თქმით, „ფუდმარტის“ მმართველები, ვალის 70%-იან დისკონტირებაზე, მოვალეებს ორთვიან ხელშეკრულებებს უფორმებენ, რაც სამართლიანი გადაწყვეტილება არ არის. „ვერსიის“ კითხვაზე, რა გზას უნდა დაადგეს ფიზიკური პირი, თამარ ჩაჩანიძე და ვალის გასტუმრების მოთხოვნით, კონკრეტულად რომელ ინსტანციას უნდა მიმართოს, ლაშა ნოდიამ გვიპასუხა: **„საერთოდ, ეს გარიგება იმიტომ შედგა ანუ „პოპულის“ აქტივები „ფუდმარტს“ იმიტომაც გადაეცა, რომ საბოლოოდ, დავალიანების მქონე კრედიტორების ვალი არ გაესტუმრებინათ. მართალია, ამ ქალბატონს სასამართლოს გადაწყვეტილება აქვს, მაგრამ ეს გადაწყვეტილება არანაირ საშუალებას არ აძლევს „პოპულს“, ვალი გაისტუმროს. „პოპულს“ აქტივები აღარ აქვს და შესაბამისად, ერთადერთი სწორი გზა სწორედ „პოპულსა“ და „ფუდმარტს“ შორის არსებული გარიგების ბათილად ცნობაა. შედეგად, „ფუდმარტის“ საკუთრებაში არსებული აქტივები ისევ „პოპულს“ დაუბრუნდება, რაც კრედიტორებს მისცემს საშუალებას, საკუთარი ვალი, ამ აქტივების ხარჯზე დაიბრუნონ. ამ ქალბატონსაც და სხვა კრედიტორებსაც სამართლებრივი საფუძველი აქვთ, სადაო გახადონ სწორედ „პოპულსა“ და „ფუდმარტს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება. რეალურად, „პოპულის“ დირექტორი, სამართლებრივად ვალდებულია, ამ კომპანიის გადახდისუუნარობის საქმე დაიწყოს, მაგრამ ამას იმიტომ არ აკეთებს, რომ ის არარეზიდენტი პირია, საქართველოში არ ცხოვრობს და არც ადგილობრივი კანონების ეშინია. „პოპული“ რომ გადახდისუუნარობაში შევიდეს, შესაძლოა, კომპანიის მიერ, ბოლო 6 თვის განმავლობაში დადებული გარიგებები ბათილად ჩაითვალოს. კრედიტორებმა და მომწოდებლებმა სასამართლოს უნდა მიმართონ, რათა „პოპულის“ გადახდისუუნარობის პროცესი დაიწყოს, ამის შემდეგ კომპანიის მეურვე და რეაბილიტაციის მმართველი დაინიშნება, რომელიც დავალიანებას გაისტუმრებს“.**

# ზურაბ ტყემალაძე დავით უსუფაშვილის წინააღმდეგ



## ემუქრება თუ არა საქართველოს მსოფლიო რუკიდან გაქრობა და რა შეცდომა დაუშვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ევროკავშირის კონფერენციაზე გამოსვლისას



მერაბ ბერიძე
599-45-50-26

ნატო-ს გარეშე საქართველო, შესაძლოა, მსოფლიო რუკიდან ისევ გაქრეს, — აღნიშნული განცხადება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა ევროკავშირის პარლამენტების თავმჯდომარეების კონფერენციაზე, აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის ქვეყნების საპარლამენტთაშორისო თანამშრომლობის სესიის ფარგლებში სიტყვით გამოსვლისას გააკეთა: **„2008 წლის აპრილში, სამიტ ზე, ნატო-ს წევრი ქვეყნები მივიდნენ კონსენსუსამდე, რომ საქართველო ალიანსში შევა, თუმცა არც მექანიზმებზე, არც ინსტრუმენტებსა და თარიღზე უსაუბრიათ. მჯერა, ეს იყო 2008 წლის აგვისტოში რუსული სამხედრო აგრესიის ერთ-ერთი მიზეზი. დღეს უფრო რთულ მდგომარეობაში ვართ. გვესმის, თუ საქართველო ნატო-სკენ ნაბიჯს გადადგამს, ეს რუსეთის მორიგ აგრესიას გამოიწვევს. ჩვენ ვრისკავთ და სწორედ ამიტომ, გვჭირდება პასუხი, რას მოვიმოქმედებთ, თუ საქართველო რუსეთის მორიგი სამიზნე გახდება“.**

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი იმასაც აცხადებს, რომ საქართველოს პარლამენტი და მთავრობა მზადაა, ითანამშრომლოს ევროკავშირთან: **„თქვენ მზაობას ვხედავ, ამიტომ ჩემს ქვეყანაში მეტი ენთუზიაზმით დავბრუნდები, რომ გამოსავალი მოიძებნება, საქართველო დაუახლოვდება ევროპას, გახდება ნატო-ს წევრი და რუსეთიც იქნება დემოკრატიული ქვეყანა. სწორედ ესაა პრობლემის გრძელვადიანი გადაჭრის გზა“.**

პარლამენტის თავმჯდომარის გამოსვლას საქართველოში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა, განსხვავებული აზრი მმართველ კოალიციაშიც კი დაფიქსირდა. მაგალითად, მრეწველი-დეპუტატი **ზურაბ ტყემალაძე** პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებას არ ეთანხმება და აცხადებს: **„რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია სხვადასხვა ქვეყნის მხარდაჭერა საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში გაერთიანების მიმართულებით, მაგრამ ვერ დავეთანხმები პარლამენტის თავმჯდომარეს იმაში, თითქოს ეს თუ არ მოხდა, საქართველო მსოფლიო რუკიდან გაქრება. საქართველო და ქართველი ერი დარჩება და ნამდვილად არ გაქრება“.**

რამდენად ერთიანია კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტიკა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციასთან დაკავშირებით? პოლიტოლოგ **სოსო ცინცაძის** თქმით, „შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ კოალიციის წევრები ერთად ვერ ძოვენ“ და პარლამენტის სპიკერის ამ განცხადებით გაოცებულია, რადგან „ამ ქვეყანამ ბევრი მტერი მოინელა და მსოფლიო ასპარეზიდან არ გამქრალა“: **„ზურაბ ტყემალაძე ამ საქმის სპეციალისტი ნამდვილად არ არის, მაგრამ მასაც თვალში ეცა ეს გამოსვლა. უსუფაშვილი ჭკვიანი პოლიტიკოსია, მაგრამ მგონი, ზედმეტი მოუვიდა, რადგან მისი გამოსვლა კაპიტულანტური, უიმედო და განწირული იყო. გვიშველეთ, საქართველო რუკიდან საერთოდ გაქრებაო. კარგი, რა, ამ ქვეყანამ არაბობას, მონღოლებს, შაჰ-აბასს, აღამაჰმადხანს გაუძლო. ბოლო ბოლო, რუსეთის იმპერია მოინელა და რომელ გაქრობაზეა საუბარი. დღეს, 21-ე საუკუნეში, ასეთი განცხადების გაკეთება ცოტა საშიშია. მადლობა ღმერთს, მასა, რიგითი ობივატელი, დიდ ყურადღებას არ აქცევს, ვთქვათ, პარლამენტის თავმჯდომარემ ლიტვასა თუ რიგაში რა ტიპის განცხადება გააკეთა, თორემ ეს საზოგადოებაში პესიმიზმს გააჩენდა ქვეყნის მომავალთან დაკავშირებით. არ მგონია, უსუფაშვილს ეს განცხადება ვინმესთან შეეთანხმებინა. ამ მხრივ დღევანდელი ხელისუფლების ცალკეულ წარმომადგენლებს სრული დამოუკიდებლობა აქვთ, მაგრამ ისიც ცხადია, დღევანდელი მმართველი კოალიციის წარმომადგენლები ერთად ვერ ძოვენ და ეს შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს. რეალურად, ეს უცხო სხეულთა კრებულია, რომელსაც ერთადერთი მიზანი აერთიანებდა — ხელისუფლებიდან სააკაშვილის გაშვება, დღეს კი ასევე ერთადერთი — დეპუტატის სავარძელი აერთიანებს და სხვა არაფერი. ასეთი კოალიცია, წარმატებული არჩევნების ანუ მიზნის მიღწევის შემდეგ იშლება ხოლმე. ამათ კი კარგ ცხოვრებაში დარჩენა მოინდომეს, ამიტომ სწორი იქნებოდა, ვადამდელი არჩევნები ჩატარებულიყო. ყველა ცალკ-ცალკე, საკუთარი პროგრამის, იდეოლოგიის მიხედვით გავიდოდა და პარლამენტიც საზოგადოების რეალურ განწყობას, თანაფარდობას ასახავდა. ესაა მიზეზი, საქართველოს დღემდე რომ არ ჰქონია ნორმალური პარლამენტი, რომელსაც ხალხის გარანტირებული ნდობა ექნებოდა. ამ პარლამენტმა კი უკვე ყველა რეკორდი მოხსნა და ვადამდელი არჩევნების გარდა, გამოსავალს ვერ ვხედავ“.**

## აბაშიძე-კარასინის მორიგი შეხვედრა, სავარაუდოდ, მომდევნო კვირაში გაიმართება

ზურაბ აბაშიძის განცხადებით, კარასინთან შეხვედრის ამ რაუნდზე, ორი ქვეყნის პრეზიდენტებს შორის სავარაუდო შეხვედრაზე არ ისაუბრებენ: **„ამ ორმხრივი არაფორმალური დიალოგის ფორმატში განვიხილავთ ბევრ კონკრეტულ საკითხს. ასეთი უკვე მრავლად დაგროვდა და იმედი მაქვს, მათ შესაძლებლობების ფარგლებში მოვაგვარებთ. ეს საკითხები ეხება ეკონომიკურ და სავაჭრო ურთიერთობებს, ჰუმანიტარული ხასიათის საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხი ოპერატიულადაა მოსაგვარებელი... ასე რომ, ვფიქრობ, ეს შეხვედრა საჭირო და დროულია“.**

ზურაბ აბაშიძე რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელის, ალექსანდრე ბორტნიკოვის განცხადებასაც გამოეხმაურა, რომ სოჭში ტერაქტების საფრთხის თავიდან ასაცილებლად რუსეთი გერმანელ, ავსტრიელ, ფრანგ, გერმანელ და ქართველ კოლეგებთან ერთად მუშაობდა. მისი თქმით, ოლიმპიადის ორგანიზატორებთან უსაფრთხოების თვალსაზრისით თანამშრომლობა რამდენიმე მიმართულებით შედგა: **„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოსკოვიდან სოჭში საკონსულოს თანამშრომლები მიავლინა, რომლებიც ჩვენ ჯგუფს დახმარებას უწევდნენ. ოლიმპიური თამაშების პერიოდში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უსაფრთხოების ზომები გამკაცრებული იყო კანონიერების თვალსაზრისით“.**

*„ვერსიანიუსი“*



# „ჰერეთის გამაჰმადიანებულ სოფლებში ქართული სკოლები სულს ღაფავს“

## რა მხარდაჭერა სჭირდება საინგილოს და გადაარჩენს თუ არა ამ რეგიონში ქართულ ენას ონლაინ-გაკვეთილები

მერაბ ბერიძე
599-45-50-26



დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი კონსტანტინე სურგულაძე აცხადებს, რომ თანამემამულეთა გლობალურ ქსელში დარეგისტრირების შესაძლებლობა ქართული დიასპორის წარმომადგენლებს ორ თვეში ექნებათ. მინისტრმა სამინისტროს მუშაობის 2014 წლის პირველი კვარტლის ანგარიში წარადგინა. მისი თქმით, ამ პერიოდში მოცულობითი სამუშაო ჩატარდა, ასევე ბევრ პროექტში მნიშვნელოვანი წინსვლაა. სურგულაძის თქმით, სამინისტროს ერთ-ერთი მიმართულება განათლებაა, რათა უცხოეთში მცხოვრებმა თანამემამულეებმა და მათმა შვილებმა ქართული თვითშეგნება შეინარჩუნონ.

მინისტრმა ისაუბრა თანამემამულეთა გლობალური ქსელის tanamemamule.ge-ს შესახებ. პროექტი, ამ ეტაპზე, სატესტო რეჟიმში მუშაობს. პროექტის ფარგლებში შეიქმნება მონაცემთა ბაზა თანამემამულეების დიასპორული ორგანიზაციების შესახებ, ასევე სურვილის შემთხვევაში, მომხმარებლების მიერ ქსელში შეყვანილი ინფორმაცია CV-ის ფორმატში გადაკეთდება და გაეგზავნება ორგანიზაციებს, ვისაც პროფესიონალების მოძიება სჭირდებათ. ქსელში განთავსდება ტურისტული ინფორმაციაც.

კონსტანტინე სურგულაძემ დეტალურად ისაუბრა დისტანციური სწავლების, ონლაინსკოლის შესახებაც. მისი თქმით, ჩატარდება ცოცხალი გაკვეთილები, მასწავლებლებს ექნებათ ურთიერთობა ბავშვებთან, მოსწავლეები ქართულ ენას, ლიტერატურას, საქართველოს ისტორიას, გეოგრაფიასა და ეთნოგრაფიას შეისწავლიან... სამინისტროს სურვილია, სექტემბერში, ბავშვები ჩაერთონ გაკვეთილების პროცესში, თავად ვებპორტალი კი, ონლაინსკოლის გარდა, მოიცავს სოციალურ ქსელს, ინფორმაციულ დაფას, ასევე აღჭურვილი იქნება ყველა საჭირო ფუნქციით, რომელიც საზღვარგარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებსა და თანამემამულეებს სხვადასხვა სახელმწიფო სერვისების მიწოდებას გაუადვილებს.

სამინისტროს საგანმანათლებლო პოლიტიკა და დაგეგმილი ნაბიჯები მხოლოდ დადებით შეფასებას იმსახურებს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს სავალალო რეალობა, რომელშიც ქართული დიასპორის წარმომადგენლები ცხოვრობენ და იბრძვიან. დისტანციური სწავლების წინააღმდეგ არავინ გამოვა. პარალელურად, დიასპორის სამინისტრომ ადგილებზე მდგომარეობის გამოსწორებაზე უნდა იზრუნოს. თუ მაგალითისთვის, საინგილოს სოფლებში ქართული სკოლა-სექტორები დაიხურება, ონლაინკურსები საქმეს ველარ უშველის.

**„ჰერეთის გამაჰმადიანებულ სოფლებში ქართული სკოლები სულს ღაფავს. ადგილობრივი აზერბაიჯანული ადმინისტრაციები ყველაფერს აკეთებენ, მშობლებმა შვილები ქართულ სექტორზე არ მიიყვანონ, დაიხუროს და სასწავლო დაწესებულება სუფთა აზერბაიჯანულად გადააქციონ. ამ გზით, იქაურებს მშობლიური ენა დაავიწყონ და ეროვნული თვითშეგნება ძალადობრივად შეუცვალონ. ცნობილი ფაქტია, რომ იმ სოფლებში, სადაც თავის დროზე ქართული სკოლები ვერ გაიხსნა, დღეს მხოლოდ ღრმად მოხუცებულები მეტყველებენ მშობლიურ ენაზე, ახალგაზრდები კი, ისე დამახინჯებულ აზერბაიჯანულად საუბრობენ, აშკარაა, ასიმილიაციასთან გვაქვს საქმე. დღესაც ასეთ ბედს უმზადებენ ზაქათლისა და ბელაქნის სოფლებს. წლებია, მოსამზადებელი კლასები აბსოლუტურად უკანონოდ გაუქმებულია და მშობელს იძულებით, აზერბაიჯანულზე უწევს მიყვანა. მერე, ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე, ისეთი აგიტაცია მიმდინარეობს, რომ ბევრს უბრალოდ აიძულებენ, შვილი ქართულ სექტორზე არ მიიყვანოს. მხოლოდ უშიშარი და პრინციპული ადამიანები ახერხებენ და ღია ზეწოლას არ ეგუებიან. ამის გამო, წლიდან წლამდე სექტორები დახურვის საფრთხის წინაშე დგას, ხოლო დაბა ალიაბადის ოთხი საშუალო სკოლიდან, სამში ამას უკვე მიაღწიეს — მესამეში მხოლოდ მეთერთმეტე კლასში სწავლობენ მშობლიურ ენაზე. ქართული დაბალი კლასები აღარაა და თუ ამაზე სოფელი, თბილისის მხარდაჭერით, ხმას არ ამოიღებს, არ იბრძოლებს, მორიგი კატასტროფა გარდაუვალია. ამ სოფელმა არაერთხელ მოითხოვა, ცალკე ქართული სკოლა დაფუძნებულიყო, მაგრამ დღემდე შედეგი ვერ მიიღო. მათ ქართულ მხარესაც არაერთხელ მიმართეს, მაგრამ საქმე დაპირებას არ გასცდენია. წლებია, არ ხდება ჰერეთში მომუშავე მასწავლებლების დატრენინგება-გადამზადება, სახელმძღვანელოების შეტანა კვლავ პრობლემაა. დიასპორის სამინისტრომ, მთავრობამ ამ საკითხებზე თუ არ იზრუნა, მერე თუნდაც ჰერეთში, დისტანციური სწავლების ადრესატები საძებნელი გაგვიხდება. სასწრაფოდ უნდა დაიწყოს მუშაობა დაბა ალიაბადში ცალკე ქართული სკოლის დაფუძნებაზე, რათა ამ გზით მშობლიური ენა შენარჩუნდეს და გაძლიერდეს. თუ ამ ეტაპზე ვერ მოხერხდება, ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა დაბა ალიაბადის მესამე სკოლაში ქართული სექტორი არ გაუქმდეს, სოფლის თანადგომითა და აზერბაიჯანულ ადმინისტრაციასთან კონსტრუქციული მუშაობით ეს პრობლემა ადგილობრივი ქართველების ინტერესებიდან გამომდინარე უნდა გადაწყდეს. ამ საკითხების დროულად გადაჭრის გარეშე, ონლაინსწავლება საქმეს ვერ უშველის. საინგილოს ქართულ სოფლებს, სკოლებს რეალური თანადგომა სჭირდება“,** – აცხადებს „ვერსიასთან“ საუბრისას ჰერელი რესპონდენტი, რომლის ვინაობასაც მისივე თხოვნით არ ვასახელებთ.

# ფსიქიატრ მირიან მესტიაშვილის დიაგნოზი ქართული საზოგადოებისთვის

**ბოლო დროს, ხშირად გვესმის ფრაზა, ქართველი ერი გადაგვარების ზღვარზეაო. ამაში კი, უპირველესად, ტრადიციების ყარყოფა, გულგრილობა, მშობლებისა და ახლობლების, ნათესავების მიმართ სიცივე იგულისხმება. ეს მწარე რეალობაა თუ ზედაპირული შეფასება? მართლაც შეინიშნება თუ არა ქართული საზოგადოების დიდ ნაწილში ემოციური სიცივე, ნათესაური გრძნობების გაუფასურება (პათოფისოქლოგიური-სოციოლოგიური ხედვით)? ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად, „ვერსია“ ცნობილ ფსიქიატრს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორს, აკადემიკოს მირიან მესტიაშვილს დაუკავშირდა.**




**— ბატონო მირიან, ბოლო დროს ხშირად საუბრობენ, თითქოს საქართველოში ადამიანებს შორის ემოციური კავშირი გაწყდა, მშობლების, ახლობლებისა და ნათესავების მიმართ კი გაუცხოებისა და ურთიერთობების შეზღუდვის ტენდენცია შეინიშნება. ეს რეალობაა თუ მცდარი მოსაზრება?**

— ბევრ ქვეყანაში, რამდენიმე ათეული წელია დესტაბილიზაციაა, რომელმაც მყარი, ე.წ.სტაბილური-დესტაბილიზაციის სახე მიიღო. დესტაბილიზაციამ ამ ქვეყნების ეკონომიკური, ფინანსური, სოციალური... დარგები დააკნინა და მნიშვნელოვნად დაასუსტა. შედეგად, შეიცვალა როგორც მიკრო, ისე მაკროსოციალური გარემო, რამაც განავითარა ახალი ფსიქო-ეკოლოგიური სისტემა. ასეთ პირობებში, მეტ-ნაკლებად, შეიცვალა საზოგადოების ცხოვრების ნირიც, შრომითი და სოციალური პირობებიც, ადამიანებს შორის ურთიერთობის ფორმებიც, ზოგიერთი მორალურ-ზნეობრივი გამოვლინებანი. მოხდა პიროვნებების ზოგიერთ თავისებურებათა ერთგვარი სახეცვლილება, გახშირდა გულგრილობა და უხეშობა. მეტად მნიშვნელოვანია, რომ შეიცვალა პიროვნებათა შორის ემოციური ურთიერთობა — გაციების, გაუცხოების, განურჩევლობისა თუ ნათესაური კავშირების შესუსტების სახით. ამ მდგომარეობამ წარმოშვა გარკვეული მითქმა-მოთქმა და სწორედ მანვე მოახდინა გავლენა განსაკუთრებით სუსტი, არამყარი ფსიკიკის მქონე პიროვნებებზე (ძირითადად, გამოხატული ფსიქოპატები და სხვ). საზოგადოების მცირე ნაწილი, რომელიც იმყოფება ახალი ფსიქო-ეკოლოგიური გარემოს გავლენის ქვეშ, ცდილობს, მოიყვანოს მაგალითები: როგორ უარყვეს შვილებმა სიყვარული და დაკარგეს მშობლების პატივისცემა, როგორ შეიცვალნენ უარყოფითად დედმამიშვილების, ახლობლებისა და ნათესავების მიმართ.

**— ანუ, ზოგადად, ქართველი ერი არ დგას ოჯახის წევრების, ახლობლებისა თუ ნათესავების მიმართ ემოციური გაციებისა თუ გაუცხოების წინაშე?**

— ფსიქიატრიაში 68 წლის სტაჟი მაქვს... ამ ხნის განმავლობაში, რასაკვირველია, ბევრჯერ შევხვედრივარ ემოციისა თუ ქცევის სხვადასხვა პათოლოგიით შეპყრობილ ადამიანებს. ზემოხსენებული მოსაზრება, ჩემი აზრით, დამყარებულია ზოგიერთი პიროვნების ყურმოკრულ გადმოცემებსა და ფაქტებზე, რომელთაც აკლია კონკრეტულობა, ემოციურად გაციებულ პიროვნებათა ვინაობა... ეს, უმეტეს შემთხვევაში, ფაქტების უზუსტობისა და დაუჯერებლობის შთაბეჭდილებას ქმნის. ადამიანებს ხშირად მოჰყავთ მშობლების, და-ძმების, ახლობლებისა და ნათესავების მიმართ ემოციური გაციების, განურჩევლობის მაგალითები — გაჭირვების დროს როგორ არ დაეხმარნენ ისინი ერთმანეთს, რაც ზერელობისა და დაუზუსტებლობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

**— რატომ, ასეთი რამ, რეალურად ნებისმიერი ადამიანის გარშემო შეიძლება მოხდეს.**

— რასაკვირველია, ასეთი ფაქტები არსებობს, მაგრამ იმდენად მცირეა, რომ მათი განზოგადოება არასწორი იქნება. განზოგადებისთვის საჭიროა ეჭვმიუტანელი, ობიექტური მასალა, წინააღმდეგ შემთხვევაში, არაა გამორიცხული, ინფორმაციამ ჭორის მსგავსი შეფასება მიიღოს. უნდა ვენდოთ საყოველთაო დაკვირვებებს — ქართველი კაცი და, ზოგადად, მოსახლეობა, ემოციით, ენთუზიაზმით ეხმარება ახლობლებსა და ნათესავებს, ისინი იზიარებენ ნათესავების სიხარულს მათი ბედნიერების დღეებში (ქორწილი, დღეობები, ბავშვის ნათლობა..), ინაწილებენ ნათესავების მწუხარებას და ეხმარებიან მწუხრის დღეებსა თუ ავადმყოფობის პერიოდში, ქალაქელები მონაწილეობენ ე.წ. სოფლის მამითადში (მოსავლის აღება, მშენებლობა და სხვა, რაც მეტად მნიშვნელოვანია). ვინ მოთვლის, რამდენ ქალაქელს მიუცია საშუალება სოფლად მაცხოვრებელი ნათესავისთვის, თავის ბინაში ეცხოვრა და დაემთავრებინა უმაღლესი სასწავლებელი. ქართველი კაცი, არცთუ იშვიათად, შესაძლებლობების ფარგლებში, შორეულ ნაცნობებსა და უცნობებსაც კი ეხმარება. ცნობილი აკადემიკოსის, ავლიპ ზურაბიშვილის ცხოვრებიდან მოგიყვანთ ერთ მაგალითს: რამდენიმე წლის წინ, ერთ-ერთ კონფერენციაზე, მომიახლოვდა ორი პიროვნება. მითხრეს, ვიცით, დიდი ხნის განმავლობაში იყავით აკადემიკოსის უახლოესი თანამშრომელი და გთხოვთ, გვიპასუხოთ, მართლა ამდენი ნათლული და ახლობელი ჰყავს მას, დახმარების თხოვნითა და წერილით დღემდე რომ მოგვმართავენ ჩვენ და ჩვენს კოლეგებსო? ვუპასუხე, ბატონ ავლიპს ამდენი ნათესავი და ახლობელი არ ჰყავს, მაგრამ იგი ყველა ქართველ ახალგაზრდას ახლობლად მიიჩნევდა-მეთქი. გაიღიმეს და მითხრეს, ჩვენც ასე ვიფიქრეთო. კარგად შენიშნა პოეტმა ხუტა ბერულავამ, რომელიც ერთ-ერთ ლექსში წერს, ავლიპ ზურაბიშვილს ყველა ქართველის გულში ფესვები აქვს გადგმულიო. დიახ, ასეა. რასაკვირველია, ყველანი ვერ ვიქნებით ზურაბიშვილები, მაგრამ ის კი უნდა ვიცოდეთ, რომ მშობლების, ყველა ახლობლისა თუ ნათესავის სიყვარული, მათდამი ყურადღება, ღვთიური საქმე და უმაღლესი მორალურ-ზნეობრივი ვალდებულებაა. დარწმუნებული ვარ, ქართველი ხალხი სასტიკად დაგმობს და სამუდამოდ უარყოფს სრულიად მიუღებელ, სამარცხვინო ზემოთმოცემულ გამოვლინებებს და არასოდეს უღალატებს ღვთიურ საქმეს. პიროვნება, რომელსაც დასჭირდება შეხსენება მშობლების, ნათესავების, ახლობლების მიმართ დახმარების აღმოსაჩენად, მათთან შეზღუდავს ემოციურ ურთიერთობას და უარყოფს ერთიანობას, ზოგ შემთხვევაში კი, მათ უცხოდ მიიჩნევს, მორალურად არასრულყოფილად უნდა ჩავთვალოთ.

**— და ასეთი „მორალურად არასრულყოფილი“ ადამიანების რიცხვი ჩვენ ქვეყანაში ცოტაა? საქმე გენეტიკურ გადახრასთან ან რამე ახალ ავადმყოფურ გამოვლინებასთან ხომ არ გვაქვს?**

— როგორც ექიმი ფსიქიატრი, ვერც ერთ ზემოთქმულ მოსაზრებას ვერ ვიზიარებ. ფსიქოზური აშლილობისა და მემკვიდრეობით დეგენერატიული გამოვლინებების გარდა, მათ აღენიშნებათ მთელი რიგი, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკური, ავადმყოფური ნიშნებისა. მაგალითად, შიზოფრენიის დროს აღქმის პათოლოგია (მრავალგვარი ჰალუცინაცია და სხვა), აზროვნების პათოლოგია (ბოდვითი იდეების სახით), ღრმა ემოციური აშლილობანი, მოძრაობათა მოქმედების გაუგებრობა და უცნაურობანი, ზოგადად, ფსიქიკის გახლეჩილობის მოვლენები... თუმცა ეს სიმპრომები, საუბრის სხვა თემაა. ჩემი აზრი სუბიექტურია და კიდევ მოითხოვს დაკვირვება-შესწავლას. აღნიშნული საკითხი სპეციალისტებმა, გენეტიკოსებმა, ფსიქოლოგებმა, სოციოლოგებმა, ფუტოროლოგებმა და მათი მოსაზღვრე დარგების წარმომადგენლებმა, სიღრმისეულად უნდა განიხილონ და ერთიანი დასკვნა დადონ, მანამდე კი აქტიურად უნდა დავგმოთ ქართველი ერისთვის შეუფერებელი ზემოაღნიშნული გამოვლინებანი. უნდა გავატაროთ საზოგადოებრივ-პროფილაქტიკური ღონისძიებანი. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ჩვენი ისტორიის ის პერიოდები, როცა არაბებისა და მონღოლების ბატონობის დროს, ირანელთა შემოსევების შემდეგ, დანგრეული ჩვენი ქვეყანა უბრუნდებოდა ცხოვრების ნორმალურ პირობებს. მჯერა, საზოგადოების უმცირესი ნაწილის შეფასება და არასწორი შეხედულებანი თუ მოქმედება, მხოლოდ დროებითი, უკუქცევადი და აღდგენადია, რომელიც ქვეყანაში ვითარების დარეგულირების პარალელურად გამოსწორდება. მტკიცედ უნდა დავიცვათ ერის ერთიანობა, რაც ერის ძლიერებისა და მისი შენარჩუნების უმნიშვნელოვანესი წყაროა. როგორც ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მოგვიწოდებს: „უნდა გვწამდეს ღმერთის და ღმერთის დახმარებით ყველაფერი კარგად იქნება!“

საზოგადოება

# „თუ ხელისუფლება რეაგირებას არ მოახდენს, რადიკალურ ზომებს მივმართავთ“

ანი ბეშიტაიშვილი
597-39-99-42

**თბილისში, პარლამენტის შენობასთან, მეჩვიდმეტე დღეა ყოფილი პატიმრები აქციას მართავენ და სახელმწიფოსგან, თაროზე შემოდებული საქმეების გადახედვასა და რეაბილიტაციას ითხოვენ. „ვერსია“ სამართლიანობის აღდგენისმომლოდინე ადამიანებს გაესაუბრა.**


საპროტესტო აქციის მე-17 დღე

**ვახტანგ ნარსია:** — ჩვენ ვართ რეპრესირებულები, მოვითხოვთ, უფლებამოსილება შეუჩერდეს იმ მოსამართლეებსა თუ პროკურორებს, ვინც დაგვიჭირა და გაგვასამართლა. პარლამენტის მიერ პოლიტპატიმრად აღიარებულია 186 ადამიანი, დანარჩენები კი ვერ მოვხვდით სიაში — როცა „ოცნებამ“ მიიღო გადაწყვეტილება, მოხსნილიყო ნასამართლეობა და პატიმართათვის მიენიჭებინათ პოლიტპატიმრის სტატუსი, ჩვენ უკვე ციხიდან გამოსულები ვიყავით. გადახედონ პოლიტპატიმრების საქმეებს. არ მინდა, მთელი ცხოვრება ნასამართლევად ვითვლებოდე. 4 წელია სტრასბურგში მაქვს საქმე, მაგრამ არაფერი ისმის. მინდა, სამსახური დავიწყო და ნორმალურად ვიცხოვრო. ორ კვირაზე მეტია აქციას ვაწყობთ და მედიას წესიერად არც გაუშუქებია. მგონი, შეგნებულად გვბლოკავენ. კიდევ კარგი, ამ თემაზე ადვოკატი ლევან ვასაძე და ლალი მოროშკინა მაინც ალაპარაკდა.

**— თქვენ როდის და რატომ დაგიჭირეს?**

— ციხეში, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ბრალდებით, 2009 წლის 22 მარტს მოვხვდი.

**კახა დვალი:** — მუხროვანიდან ვარ. გახსოვთ ალბათ, ნაციონალურმა მთავრობამ ხალხს დეზინფორმაცია რომ მიაწოდა, მუხროვანში ამბოხი მზადდებოდაო... მაგ დროს ბაზაზე 62 ერთეული ტექნიკა იდგა — სიმის ტ-72 ტიპის ტანკები. ამბოხება მართლა რომ გვდომებოდა და ეს ტექნიკა დაგვექოქა, სააკაშვილი მუხროვანის ბაზაზე ისე ვაჟკაცურად შემოვიდოდა? მაშინ ჩვენი დაჭერით ბევრი რამ გადაფარეს... ახალმა ხელისუფლებამ კი საქმის გამოძიება შუიდან დაიწყო, ისიც მხოლოდ იმიტომ, მერაბიშვილისთვის ბრალი დაემძიმებინა, შემდეგ ეს საქმე კვლავ თაროზე შემოდეს, ჩვენ კი თამაშგარე მდგომარეობაში დაგვტოვეს. გამოძიება უნდა დაიწყოს თავიდან და გაირკვეს, რისთვის ვისხედით ციხეში ამდენ ხანს.

**— გამოძიების პროცესში დაკითხვაზე დაგიბარეს?**

— ჩვენი ბიჭები დაიბარეს. როცა ამბის მოყოლა დაიწყეს, ვიცითო, უთხრეს, გააჩერეს და ბაზიდან გასვლის შემდეგ რაც მოხდა, მარტო იმაზე ალაპარაკეს ანუ მხოლოდ ის აინტერესებდათ, რაც მერაბიშვილს ეხებოდა. უკაცრავად და, ფეხებზე დაგვიკიდეს... ძველმა მთავრობამ დაგვიჭირა და, პრაქტიკულად, ახალ მთავრობასაც დაჭერილები ვყავართ. არავითარი დახმარება არ მიგვილია. მორალური ზიანის ფინანსურ კომპენსაციაზე არ ვსაუბრობ — ვიცი, სახელმწიფოს უჭირს... მაგრამ ხომ შეიძლება, შეწუხდნენ მაინც და გამოხატონ თანადგომა.

**— თქვენ საპროტესტო აქციებს ხელისუფლების მხრიდან რა რეაგირება მოყვა?**

— საერთოდ არანაირი.

**— თქვენი მოთხოვნა რომ არ დააკმაყოფილონ, რას აპირებთ?**

— ჯერჯერობით, აქ ვსხედვართ და წყნარად ვაპროტესტებთ. თუკი ხელისუფლება სათანადო რეაგირებას არ მოახდენს, რადიკალურ ზომებს მივმართავთ.

# აფხაზეთმა რუსეთს „ბინების ომი“ გამოუცხადა

**სოციალურ ქსელში აფხაზეთში მცხოვრები ახალგაზრდების ფოტოები გავრცელდა, საქართველოს დროშითა და ლოზუნგით — „აფხაზეთი საქართველოა“. უცნობია, ეს ფოტოები ნამდვილია თუ არა და გაბედავდნენ თუ არა სოხუმში მსგავსი აქციების ჩატარებას. მიუხედავად ამისა, საქართველოს საგარეო სამინისტრომ, აფხაზეთის მკვიდრებს, დე ფაქტო მთავრობისა და რუსეთისგან მოსალოდნელი რეპრესიების გამო, სიფრთხილისკენ მოუწოდა. რა ვითარებაა დღეს ოკუპირებულ რეგიონში და გამოსდით თუ არა ადგილობრივ მოსახლეობასა და რუსებს „ტკბილად თანაცხოვრება“? რუსულ პრესას თუ გადავავლებთ თვალს — არა. „კომსომოლსკაია პრავდაში“ დაიბეჭდა სტატია სათაურით — „აფხაზეთმა რუსეთს „ბინების ომი“ გამოუცხადა“. ავტორი ვლადიმერ ვორსობინი სოხუმში იმ მიზნით ჩავიდა, აფხაზი მოქალაქეების მიერ, რუსებისთვის წართმეული ბინების დაბრუნებაში წვლილი შეეტანა. რეპორტაჟი, რომელსაც „ვერსია“ უცვლელად გთავაზობთ, ასახავს, რა ხდება დღეს სოხუმში და როგორი დამოკიდებულება აქვთ აფხაზ მოქალაქეებს, ასევე აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას რუსეთის მიმართ.**



უკვე მეოთხედ ვხვდები აფხაზეთის ვიცე-პრეზიდენტს და ყოველ ჯერზე ეს ხანგრძლივი, უსიამოვნო საუბარია... სიცრუე! ვცდილობ, ჩავწვდე აფხაზი ჩინოვნიკის ლოგიკას, მაგრამ არ გამომდის. 4 წლის წინ ამ თემაზე ანქვაბს ველაპარაკე, ახლა კი მიხეილ ლოგუას, რომელთანაც საქმე გაცილებით რთულადაა. ვიცე-პრეზიდენტს ხელში უჭირავს 2010 წელს დაბეჭდილი ჩემი სტატია „აფხაზები რუსებს ბინებს ართმევენ“, უკვე ნახევარი საათია ვკამათობთ, ვცდილობ, გავერკვე, რა ემართებათ აფხაზებს. ვიცე-პრეზიდენტი კი ინტერნაციონალიზმზე მელაპარაკება.

— დავიბადე ინტერნაციონალურ ქალაქში და ასეთ მსჯელობაში არ ჩავერთვები! რას ნიშნავს „აფხაზები რუსებს ბინებს ართმევენ“?, რა შუაშია ნაციონალიზმი?

— ტექსტთან გაქვთ პრეტენზიები? — ვეკითხები დაღლილი, უკვე მესამედ. ვიცე-პრეზიდენტი ისევ არ იმჩნევს კითხვას და გაურბის პასუხს.

— არსებობს ძალები, რომლებმაც ააგორეს ეს სკანდალი? — რომ არ აგვეგორებინა, ჩვენ მოტყუებულ ბებიებს აფხაზეთი ვერ შეამჩნევდა! არ იქნებოდა არც სახელმწიფო კომისია, არც სასამართლო გადაწყვეტილებები!

— კომისია იქნებოდა! — უარყოფს ვიცე-პრეზიდენტი და ჩემი სტატია ხელში იარაღივით უჭირავს, — „აფხაზები რუსებს ბინებს ართმევენ“ — ეს სისასტიკეა!

დავფიქრდი. დიახ, შემეძლო, უფრო კორექტულად დამეწერა: „აფხაზების“ ნაცვლად „აფხაზეთი“, „რუსების“ მაგივრად კი „რუსეთი“, მაგრამ რომელ რუსებზეა საუბარი?

პარადოქსია! ვსხედვართ ორი რუსი (ვიცე-პრეზიდენტს რუსული პასპორტი აქვს), მაგრამ მე მაინც უცხოელი ჟურნალისტი ვარ, იგი კი, დამოუკიდებელი ქვეყნის ხელმძღვანელი. (უკვე მხვდა ბედნიერება, აფხაზურ სამთავრობო პრესას ჩემ შესახებ დაეწერა, „ნუთუ არაა დრო, ასეთი არაკეთილსინდისიერი, მზაკვარი, არსით დამნაშავე მწერლები და მათ უკან მდგომი სპონსორები, აფხაზეთში პერსონა ნონ გრატად გამოვაცხადოთ?)

## „მოვიპარავ, სადაც გისოსი დაბალია“

ეს ეპოპეა 2010 წელს დაიწყო. სტატიების სერია დავბეჭდე ასობით რუსი, ებრაელი, სომეხი ოჯახის შესახებ, რომლებსაც აფხაზებმა სახლები წაართვეს. თითქმის ყველა მსხვერპლი დაუცველი პენსიონერია. ზოგი ომის დროს წავიდა აქედან რამდენიმე წლით, ზოგმა არც ისე დიდი ხნით დატოვა სახლი, ვიღაც ერთი თვით გაემგზავრა ნათესავებთან, ვიღაც რამდენიმე დღით... დაბრუნებულებს კი დახვდათ — ახალი კარი, შეცვლილი საკეტი, დაკეტილი კარიდან უკივლეს: „გაეთრიე აქედან!“ ისეც მოხდა, შინდაბრუნებულებს სახლი აღარ დახვდათ, მაგალითად, პენსიონერი ვერა დონჩენკო მოსკოვში, ნათესავების მოსანახულებლად 1 თვით გაემგზავრა, ამასობაში, მეზობელმა მისი სახლი დაშალა და მიწა მიისაკუთრა.

ვალენტინა კოზლოვას ბინაში მეზობელი, ვინმე ჩკადუა შევიდა, ბინა მიიერთა და კარი აგურით ამოგმანა. ახლა კოზლოვა ნაქირავებში ცხოვრობს, ჩკადუა კი მოკვლით ემუქრება.

არუსიაკ ხაჩატურიანის სახლიც მიისაკუთრეს: „გადამიგრიხეს ხელები, წამართვეს გასაღები, სახლი, ქონება... ისინი ტიტულოვანი ერის უფლებებით სარგებლობენ და ამბობენ, რომ „აფხაზეთი აფხაზებისაა“.

და ასეთი ისტორია ასობითაა. 2010 წელს, დაზარალებულების ადვოკატის, თამაზ ქეცბას დაბნეული ვუსმენდი. მქონდა შთაბეჭდილება, თითქოს მეგობარმა რაღაც მომპარა.

— რუსები ნაკლებად დაცულები არიან აქ, არ ჰყავთ ბევრი ნათესავი, არ აქვთ კავშირები, მათ ჩაგრავენ პრინციპით — „მოვიპარავ, სადაც გისოსი დაბალია“, — მშვიდად ამბობდა ქეცბა.

კი მაგრამ, ახლახან აღიარა რუსეთმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა, გაიჟღერა ტკბილმა სიმღერებმა სამუდამო მეგობრობისა და სიყვარულის შესახებ, წამოვიდა ფინანსური დახმარების მდინარეები... მაშინ აფხაზები არ მიჯერებდნენ. „არ არსებობს“, — ამბობდნენ ისინი, — „ქართველებს სახლში უცერემონიოდ ვუშვებდით, მაგრამ რუსი სახლში? როგორ შეიძლება!“

ერთი აფხაზი-თანამგზავრი, რომელმაც თქვა, თითქოს პრეზიდენტის ძმისშვილია, მიმტკიცებდა, რომ აფხაზებს რუსები უყვართ. თავის დროზე, მეც ვფიქრობდი, რომ ეს იყო გაუგებრობა, მით უმეტეს, მომავალი პრეზიდენტი ანქვაბი დამპირდა, „სახელმწიფო პასუხისმგებლობით მოეკიდება ამ საკითხსო“. და ყოველ წელს ამას მიმეორებდნენ აფხაზი ჩინოვნიკები. მათ გულწრფელად ვძულდით მოსკოველი ჟურნალისტები. მიზეზი? — პრესაში დაბეჭდილი პუბლიკაციის გამო კრემლი აღშფოთდა. მაშინდელმა პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა, ბაღაფშს მოსთხოვა ამ გაუგებრობისთვის წერტილი დაესვა. აფხაზეთმა მაშინ თქვა: „რა თქმა უნდა!“ ჩამოყალიბდა სახელმწიფო კომისია, რომელმაც განსახილველად ჩაბარებული 177 საჩივრიდან, მხოლოდ 48 სცნო საფუძვლიანად. აღიძრა საქმე და ვიფიქრე, ყინული დაიძრა, ანქვაბი სიტყვას შეასრულებს-თქო, მაგრამ... ერთ დღეს, ტირილით მირეკავს დაზარალებული ვალენტინა კოვალენკო.

— თქვენ ხომ დიდი ხანია მოიგეთ სასამართლო პროცესი! განა თქვენ სახლში არ ცხოვრობთ?! — არაფერი შეცვლილა! — ყვიროდა კოვალენკო, — მათ არ უნდთ ბინიდან გამოსვლა. აფხაზები გვატყუებენ!

და მე, კიდევ ერთხელ მომიწია სოხუმში ჩასვლა.

## ყველაფერი გაცილებით უარესადაა

რჩევა მათთვის, ვინც აპირებს „სულის ქვეყანაში“ (ასე უწოდებენ აფხაზები აფხაზეთს) ჩასვლას: იცქირეთ მხოლოდ მაღლა. დატკბით ამ ქვეყნის მზის ჩასვლით, მთებითა და ტყეების სილამაზით. ნუ დაიხედავთ ქვევით, ან უარესი — ნუ წარმოთქვამთ ამ ადგილისთვის დაწყევლილ ფრაზას: „აქ უკეთესია თუ თურქეთში“. თუ ამას იტყვით, თავად ჩაიშხამეთ დასვენება — ვერაფერი გაუგეთ აფხაზეთს! პლაჟზე წააწყდებით გამოყენებულ პამპერსს, გაგქურდავენ, უხეშად მოგექცევიან, აქ ყველაფერი წარმოუდგენლად ძვირია და იგრძნობთ, რომ რუსი ხალხის სახეს აქ ვერ გიტანენ. ეს არაა სიმართლე, მაგრამ ისტერიკაში ხართ... ეს არ ნიშნავს, რომ აფხაზეთი უარესი გახდა (შეიძლება, პირიქით: გაჩნდა კერძო სასტუმროები, ახალი შუქნიშნები), უბრალოდ ქვეყანა, როგორც რაიკინი ამბობდა, „სპეციფიკურია“.

აქ თუ რამე იცვლება, ძალიან ნელა. სოხუმში ჩასული მივხვდი — როგორი სულელი ვიყავი, როცა დავუჯერე ანქვაბს, რომ „რუსულ ბინებთან“ დაკავშირებით ყველაფერი კარგად იქნება...

ყველაფერი გაცილებით ცუდადაა!

სოხუმში უამრავი დაზარალებული რუსი ქალბატონის „ტყვეობაში“ აღმოვჩნდი. ისინი იბრძვიან: აქვთ შტაბი (ერთ-ერთი მათგანის ბინაში), ჰყავთ პირადი მცველი („რუს სამართალდამცავს“ მიმგვანებული აფხაზი), იურისტი და ჩამოაყალიბეს ორგანიზაციაც — „კანონი და სამართლიანობა“. „გაქურდულების“ ლიდერი, სოხუმში ცნობილი ლუდმილა კორნიენკოა. მან მოახერხა ის, რაც ვერ შეძლო ბევრმა „უცხოელმა“ რუსმა: გამოწვევა გაუგზავნა მთავრობას და საპასუხო დარტყმაც მიიღო — დააშანტაჟეს, თავს დაესხნენ, სცემეს, მაგრამ, როცა მისი ოჯახის გამოსახლება სცადა მილიციამ, ისეთი სკანდალი მოაწყო, შუაღამისას ადგილზე პრეზიდენტი ბაღაფშიც კი მივიდა. ამის შემდეგ მას პატივისცემით მოიხსენიებენ, სახლს ადვილად ვერ წაართმევო.

მალე, ვალენტინას გარშემო მწუხარების დების არმია მოგროვდა...

— ასეთები ვართ რუსები. გვეშინია. ყველა თავისთვისაა. არადა, ერთად და უშიშრად უნდა იბრძოლო. მხოლოდ ასე აჯობებ აფხაზს... — ლუდმილამ საუბარი ყურმილში განაგრძო — გალინა, ისევ გეშინია?! ისევ სასამართლოში წახვალ?!

გალინა დიუკარევას 4-ოთახიანი ბინა 13 წლის წინ მიისაკუთრა დევნილების საქმეზე მომუშავე კომისიის ხელმძღვანელმა. დიუკარევას საქართველოს ჯაშუშობაც დასწამეს, მაგრამ პენსიონერი არ დანებდა. სამაგიეროდ, დანებდა სასამართლო, რომელმაც დაადგინა, რომ ბინა ქალბატონ გალინას ეკუთვნის. ეს 7 წლის წინ მოხდა. გალინა დამპირდა, რომ მოსამართლეს გამაცნობს.

## „რუსეთში რა, ასე არ ასამართლებენ?!“

მოსამართლე საყვარელი, მაგრამ მკაცრი აფხაზი ქალია. პატარა ქაღალდი მომაწოდა, რომელსაც აწერია „საბინაო შეთანხმება“ —თავის დროზე, ბინათმფლობელობაზე უფლება ვინმე კვეკვეკსერს გადაეცა.

— ეს შეთანხმება უზენაესმა სასამართლომ უკანონოდ ხომ სცნო?

— და რა მოხდა? გასახლებაზე ორდერს ხელს არ მოვაწერ. დიუკარევამ უნდა შეიტანოს სარჩელი კვეკვეკსერის გასახლებაზე.

— ამას ხომ კიდევ რამდენიმე წელი დასჭირდება! ბებო 70 წლისაა.

— ასეთია კანონი! ფიქრობთ, თქვენთან, რუსეთში, ასე არ ასამართლებენ?!

— ახლა მიხვდით? — ერთხმად მეკითხებიან დაზარალებული ქალები, — ყველას მსგავსი ისტორია გვაქვს. დაგვცინიან! კომუნალურ გადასახადებს ჩვენ ვიხდით. „მტაცებლები“ კი ჩვენ ბინებში უფასოდ ცხოვრობენ! ანქვაბმა გვითხრა, ბინა თქვენია და გადაიხადეთო.

აფხაზეთის სახელმწიფო სასამართლოს გადაწყვეტილებებს არაფრად აგდებს.

— მივდივართ, ღვიძლი ძმის სარჩელის საფუძველზე გამოვასახლოთ რუსი ქალი, — აცხადებს აღმასრულებელი ინარი, — ახლახან, აფხაზის გამოსახლებას ვცდილობდით... მაგრამ რა? გავჩერდებით ცოტა ხანს და წამოვალთ. არადა, პირდაპირ უნდა გამოყარო, მაგრამ მილიციას არ უნდა ძალის გამოყენება.

ვფიქრობდი, რომ აფხაზი ჩინოვნიკები ბინებს სიბრალულის გამო არ აბრუნებდნენ. შემდეგ გაირკვა, რომ ამ „უბედური“ ოჯახების უმრავლესობას აქვს სახლი, მისაკუთრებულ ბინებს კი, აქირავებენ. აფხაზეთი ფანტასტიკური ქვეყანაა. აქ ბიუჯეტი ივსება არა ინვესტიციით, წარმატებული ეკონომიკით, არამედ ციდან ჩამოცვენილი ფულით. აფხაზეთი დამოუკიდებელია, მაგრამ რუსეთი გააკეთებს აქ ქუჩებს, გასცემს პენსიებს და მტრებისგანაც დაიცავს ხალხს. და რა ხდება შემდეგ? — ავადმყოფური შიში „სუვერენიტეტის“ გამო და რკინის ლოგიკა:ვინ მოინდომებს კანონმორჩილებას, როცა ხელში გაქვს დიდძალი ნადავლი? ღმერთმა არ ქნას, აქ კანონი სხვაგვარად ამოქმედდეს — დაიწყება ქაოსი... ამიტომ მიიღო ახლახან აფხაზეთის პარლამენტმა კანონი, რომელიც სასამართლოებს უკრძალავს (!), მიიღონ ახალი სარჩელები ბინების წართმევის თაობაზე.

ამიტომაც გარბიან ბიზნესმენები რესპუბლიკიდან. ახლა აფხაზეთის მთავრობა ქვეყნიდან სასამართლოს ძალით ასახლებს მეწარმე ალექსანდრა კუზნეცოვას, რომელმაც რამდენიმე რესტორანი წამოჭიმა გაგრაში და დასასვენებელ ბაზასაც აშენებს ფსოუსთან. ერთმა რუსმა ბიზნესმენმა კი მომწერა: „მათ (აფხაზ ჩინოვნიკებს), ჩვენი ფობია სჭირთ. მათთვის ტერიტორიების მიმთვისებელი, გამოუსწორებელი ბიზნესმენი ვარ და უნდათ, წილი დავთმო. ამას არ გავაკეთებ, მირჩევნია, ყველაფერი გადავწვა“.

## „ან კანონიერად გადაწყდება ყველაფერი, ან უნდა შეთანხმდნენ“

— დიუკარევას მაინც დაეხმარეთ, — ვთხოვე ვიცე-პრეზიდენტს.

— ვეცადე დავხმარებოდი, შეთანხმება შევთავაზეთ, ბინას უყიდიდნენ.

— 4-ოთახიანის ნაცვლად, 2-ოთახიანი ბინა შესთავაზეს გარეუბანში.

— არ ვიცი. დიუკარევას შემთხვევაში ასე იქნება — ან კანონიერად, ანუ სასამართლოს ძალით გადაწყდება ყველაფერი, ან უნდა შეთანხმდნენ...

— ვიცე-პრეზიდენტი ბრძანდებით, რატომ სთავაზობთ შემოვლით და არა, კანონიერ გზებს?

— აფხაზეთის სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობას ამ ადამიანებზე. არავინ დარჩება კომპენსაციის გარეშე.

**P. S. წართმეული ბინების მფლობელებმა რუსეთის ხელისუფლებას ღია წერილი მიწერეს. სთხოვეს, ფინანსური დახმარების მორიგი ტრანში „ბინების საკითხის“ კუთხით გამოიყოს. წლის ბოლომდე რესპუბლიკაში 1,7 მილიარდი რუბლი უნდა შევიდეს. 2016 წლამდე კი, „აფხაზეთის დასახმარებლად“ 30 მილიარდი რუბლის დახარჯვა იგეგმება.**

# ტელევიზორი, რომელიც სურნელს აფრქვევს




აშში, ქალაქ ორლანდოში გამართულ კონფერენციაზე იაპონელმა გამომგონებლებმა ახალი ტელევიზორი წარმოადგინეს არომატული თხევადკრისტალური ეკრანით, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს, ახალმოკრეფული ხილისა თუ ფინჯანი ცხელი ყავის არომატიც შეიგრძნოს. სპეციალისტებმა ამომავალი მზის ქვეყნიდან განახორციელეს იდეა, რომელიც მარკეტოლოგების უმრავლესობის ოცნებაა — მათ შეძლეს პროდუქტისა და პარფიუმის სურნელის გადმოცემა ეკრანის მეშვეობით, რითაც პოტენციურ კლიენტებსაც მიიზიდავენ. მეცნიერთა თქმით, გამოიყენეს საჰაერო ნაკადების ტექნოლოგია, რომელიც მომხმარებლისკენაა მიმართული. გახურების დროს სპეციალური გრანულები ორთქლდება და ჰაერის ნაკადში ხვდება, რომელსაც ეკრანის ყოველ კუთხეში ჩამონტაჟებული ვენტილატორები ქმნის, თუმცა გამოგონების ავტორები სიახლის მოყვარულებს ჯერ ვერაფრით აიმედებენ, რადგან უცნობია, როდის გამოვა გაყიდვაში ეს „სურნელოვანი" ტელევიზორები. საქმე ის არის, რომ სწავლულებმა ჯერჯერობით მხოლოდ ერთი სურნელის გაფრქვევა შეძლეს სპეციალური გრანულების გამოცვლის გარეშე. ახლა მათი შემდგომი ნაბიჯი კარტრიჯების შექმნაა, რომლშიც რამდენიმე სახის არომატიზატორს მოათავსებენ.



# პიცა მარიხუანით – სპეციალურად კანადელებისთვის

ქალაქ ვანკუვერში მდებარე ერთ-ერთი პიცერიის მენიუში გაჩნდა ახალი კერძი, რომელმაც მაშინვე მიიქცია კლიენტების ყურადღება უჩვეული ინგრედიენტით: ეს მარიხუანაა. დაწესებულება Mega ILL, მედიის ყურადღების ცენტრში სწორედ მისი — „პოზიტიური ემოციების მომნიჭებელი" პიცის წყალობით მოექცა. ამ „სამკურნალო" კერძის შეკვეთა, რომელშიც კანაფისგან მიღებულ ზეთს იყენებენ, შეუძლიათ 18 წელს გადაცილებულ პირებს, რომელთაც აქვთ ნებართვა მარიხუანას სამედიცინო მიზნით გამოყენებაზე. აღსანიშნავია, რომ თავად კაფეს მფლობელი მარკ კლოკიდი, რომელმაც კიბო დაამარცხა, აქტიურად მოიხმარს მარიხუანას. მიუხედავად რემისიის საშიშრებისა, რეგულარულად ვიღებ მას და არ ვყიდულობ სხვა ტკივილგამაყუჩებლებს, — აცხადებს მარკი, — მინდა, ჩემი პიცერია იყოს ადგილი, სადაც ადამიანები გემრიელ და ჯანსაღ საკვებს მიიღებენ. თუმცა, შესაძლოა უახლოეს მომავალში ეს „პოზიტიური" კერძი ამოვარდეს რესტორნის მენიუდან, რადგან ახალი კანონპროექტის მიხედვით, გაყიდვა იკრძალება.

# თეთრეული სურნელის მიხედვით



დიდი ბრიტანეთის ოტელებში კლიენტებს შეუძლიათ თავად აარჩიონ თეთრეული სასურველი სურნელით. ასეთ მომსახურებას სასტუმროების ქსელი Travelodge სთავაზობს, თუმცა არჩევანი ჯერჯერობით შეზღუდულია და სტუმრებს მხოლოდ ხუთი სახეობის — ზღვის, ახალგათიბული ბალახის, საბავშვო პუდრის, ვაშლის ღვეზელისა და შოკოლადის არომატს სთავაზობს. შერჩეულ არომატს თეთრეული ერთი კვირის განმავლობაში ინარჩუნებს, კლიენტებს კი შეუძლიათ არომატული ზეწრები თან წაიღონ, თუკი სურვილი აქვთ, სასტუმროში გატარებული ღამეების სასიამოვნო მოგონება შემოინახონ. Travelodge-ის ქსელის ახალი სერვისით უკვე შეუძლიათ ისარგებლოთ ედინბურგში, ნიუკასლში, ბირმინჰემში, ნოტინჰემსა და ლონდონის ჰითროუს აეროპორტში ახლადგახსნილ მეხუთე ტერმინალში.

# ქრონიკულ დაღლილობას ვირუსი იწვევს?



ადამიანის ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება, შესაძლოა, ვირუსით იყოს გამოწვეული, — აცხადებენ ამერიკელი მკვლევარები უაიტ-პეტერსონის ინსტიტუტიდან. სწავლულებმა დაადგინეს, რომ სისხლის ვირუსი XNRY, ცხოველური წარმოშობისაა და იმ პაციენტთა 67%-ში არსებობს, ვინც გამუდმებულ ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ დაღლილობას უჩივის. გაირკვა ისიც, რომ ვირუსი საგრძნობლად აქვეითებს ადამიანის იმუნურ სისტემას. სპეციალისტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ქრონიკული დაღლილობა შეიძლება ავადმყოფობად ჩაითვალოს და მკურნალობის კურსიც დაინიშნოს. სტატისტიკის მიხედვით, დღეისთვის ამ სინდრომით მსოფლიოში 17 მილიონი ადამიანი იტანჯება.

# სახლი მგრძნობიარე ადამიანებისთვის

ციურიხის შემოგარენში აშენებულ ახალ სახლში უმკაცრესი წესები შემოიღეს: იქ ის ოჯახები იცხოვრებენ, რომლის წევრებიც მეტად მგრძნობიარენი არიან მობილური ტელეფონის, სუნამოსა თუ სიგარეტის კვამლის მიმართ. ამის გამო ახალ შენობაში აკრძალულია მოწევა, პარფიუმის გამოყენება და მობილურზე საუბარიც. ბავშვობიდან ვიტანჯებოდი — უსადენო ტექნიკასთან კონტაქტისას ან სიგარეტისა თუ სუნამოს არომატის გამო სისუსტეს ვგრძნობდი, თავბრუ მეხვეოდა და სუნთქვა მიჭირდა. ახალ სახლში კი ყველაფერი უკეთესობისკენ უნდა შეიცვალოს, — ამბობს ჯანსაღი ცხოვრების ფონდის მეთაური, 59 წლის კრისტიან შიფერლე, რომელიც ძლიერი ქიმიური მგრძნობელობით (Multiple Chemical Sensitivity) იტანჯება, თუმცა ამ ქრონიკულ მდგომარეობას მედიცინა არ აღიარებს. რასაკვირველია, ახალ შენობაში ცხოვრება ასეთ ადამიანებს ვერ გამოაჯანმრთელებს, მაგრამ მათ ცხოვრებას, უდავოდ, კომფორტულს გახდის. შვეიცარიაში დღეს დაახლოებით 5 ათასი ადამიანია, ვისაც ქიმიური ზემგრძნობელობა აწუხებს.



Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი" გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ტელეკომპანია „თრიალეთი"

რეკლამა „თრიალეთზე"
დაგვიკავშირდით

032 239 38 23
599 25 13 31

www.trialeti.ge
trialeti@trialeti.ge

თბილისი:
ნუცუბიძის ქ. N12/1

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | 9 | | 6 | 5 | 4 | | |
| | | 3 | | | 2 | | 9 | |
| | | 1 | | | | | | 5 |
| 8 | | 7 | | | | | | |
| | 9 | | 8 | | 4 | | 1 | |
| | | | | | | 6 | | 8 |
| 3 | | | | | | 1 | | |
| | 7 | | 6 | | | 9 | | |
| | | 4 | 7 | 1 | | 5 | | 3 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | 9 | |
| | | 3 | | | 7 | 5 | 2 | |
| | | | 9 | 5 | | | | 6 |
| | | 1 | | 6 | | | 7 | |
| | | 4 | 7 | 3 | 5 | 2 | | |
| | 9 | | | 1 | | 8 | | |
| 3 | | | | 4 | 2 | | | |
| | 1 | 2 | 5 | | | 6 | | |
| | 5 | | | | | | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 8 | | | | | | |
| | 3 | 6 | | 5 | 2 | | | 8 |
| 4 | | | | | | 2 | | 6 |
| | | | | | 3 | | 5 | |
| 1 | 2 | | | | | | 3 | 4 |
| | 6 | | 7 | | | | | |
| 9 | | 3 | | | | | | 5 |
| 5 | | | 6 | 8 | | 3 | 9 | |
| | | | | | | 8 | | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 8 | 9 | | 3 | | |
| | | | | 1 | | | | 9 |
| 7 | 5 | | | | | | 8 | 4 |
| | 8 | | 5 | 6 | | | | |
| 5 | 4 | | | | | | 3 | 8 |
| | | | | 8 | 9 | | 6 | |
| 2 | 1 | | | | | | 4 | 7 |
| 4 | | | | 2 | | | | |
| | | 5 | | 4 | 8 | | | |

## „ვივალდის ეფექტი"



კლასიკური მუსიკა აჯანსაღებს ადამიანის მესხიერებას, — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ იტალიელი სწავლულები კიეტის უნივერსიტეტიდან. მათ ე.წ. ვივალდის ეფექტი აღმოაჩინეს და დაამტკიცეს, რომ კომპოზიტორის ცნობილი სიმფონიური ნაწარმოების — „წელიწადის დრონის" რეაგულარული მოსმენა მეხსიერებას აუმჯობესებს. ექსპერიმენტი მოხალისეებზე ჩატარდა, რომლის დროსაც ციფრები გარკვეული თანმიმდევრობით უნდა დაემახსოვრებინათ. მოხალისეთა იმ ჯგუფმა, რომელიც ანტონიო ვივალდის ამ შესანიშნავ ნაწარმოებს უსმენდა, დავალებას თავი გაცილებით უკეთ გაართვა. ეს ფენომენი, გარკვეულწილად, ექსპერიმენტის მონაწილეების ყურადღების კონცენტრაციით აიხსნება, ნაგრამ კლასიკური მუსიკა, უდავოდ, ადამიანის ტვინის ფუნქციონირებას აუმჯობესებს, — აცხადებენ მკვლევარები. მეცნიერებისთვის უკვე ცნობილია „მოცარტის ეფექტი", როცა ბავშვები ამ დიდი კომპოზიტორის მუსიკის მოსმენისას უფრო სწრაფად ვითარდებიან, ახლა კი, ტერმინი „ვივალდის ეფექტიც" დამკვიდრდება. ცნობილია ასევე, რომ კლასიკური მუსიკის მოსმენისას ფიზიკური ტკივილი მცირდება ან საერთოდ ქრება. სწავლულები აცხადებენ, რომ ასეთი მელოდიები, უბრალოდ, შეუცვლელია რევმატიზმის დროს. ავადმყოფები, რომლებიც კლასიკურ მუსიკას უსმენენ, ორჯერ სწრაფად გამოჯანმრთელდებიან, ვიდრე ისინი, ვინც არ უსმენს მას.



## რა ვაჭამოთ მომავალ ვუნდერკინდს

ნებისმიერი მშობელი ოცნებობს, მისი შვილი ყველაზე ჭკვიანი გაიზარდოს. ზოგიერთები ამისთვის არაფერს იშურებენ, მეცნიერებს კი რამდენიმე რეკომენდაცია აქვთ, რომელთა შესრულების შემთხვევაში ბავშვის გონებრივი შესალებლობები აუცილებლად გაიზრდება, ამ საკითხით კი ფეხმძიმობიდანვე უნდა დაინტერესდეთ. კანადელმა მეცნიერებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს და დაამტკიცეს, რომ იმ ახალშობილებს, რომელთა დედებიც ორსულობისას ფიზიკურად აქტიურ ცხოვრებას ეწეოდნენ, თავის ტვინი უფრო განვითარებული ჰქონდათ, ვიდრე პასიური მშობლების შვილებს. ბავშვების გონებრივი შესაძლებლობების განვითარება მათი ზრდის პროცესში მეტად მნიშვნელოვანია. აქ დიდ როლს ასრულებს სწავლება და სწორი კვება. რა უნდა ვაჭამოთ მომავალ ვუნდერკინდს? სწავლულებმა იციან ამ კითხვაზე პასუხი და იმ პროდუქტის სიაც შეადგინეს, რაზეც აუცილებლად უნდა გაამახვილოს ყურადღება მშობელმა.

ერთ-ერთი პირველი მათ შორის მარცვლეულია — ის უამარავ სასარგებლო ნივთიერებას შეიცავს, რასაც მოკლებულია უკვე გასუფთავებული ფქვილი, ამიტომ მიირთვით მარცვლეულისგან მომზადებული საკვები.

შვრიის ფანტელი — შესანიშნავი პროდუქტია საუზმედ პატარისთვის, რომელიც ტვინს ავითარებს,

კენკროვნები აუმჯობესებს მეხსიერებას, იგივე ეფექტი აქვს კვერცხს.

არაქისი შეიცავს ნივთიერებებს, რომელიც ტვინში ნერვულ მემბრანებს იცავს, ამიტომ მნიშვნელოვანია, პატარამ ეს პროდუქტი მცირე რაოდენობით მაინც მიიღოს.

მეტად სასარგებლოა პარკოსნები, რადგან შეიცავს მცენარეულ ცილებსა და უჯრედისს, ასევე უამრავ ვიტამინს.

სხვადასხვა ბოსტნეული კი პატარას განწყობასაც აუმაღლებს და ორგანიზმსაც მიკროელემენტებით შეავსებს.

რძის პროდუქტი აუცილებელია ბავშვების ტვინის განვითარებისთვის, ასევე თევზეული და ნაკლებად ცხიმიანი ხორცი, რომელიც ცილების, თუთიის, რკინის წყაროა და ხელს უწყობს ტვინის შრომისუნარიანობის გაუმჯობესებას.

## წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 5 | 1 | 4 | 6 | 3 | 2 | 9 | 8 |
| 2 | 3 | 4 | 5 | 8 | 9 | 7 | 1 | 6 |
| 6 | 9 | 8 | 1 | 7 | 2 | 4 | 3 | 5 |
| 8 | 7 | 6 | 2 | 1 | 5 | 9 | 4 | 3 |
| 1 | 4 | 5 | 3 | 9 | 8 | 6 | 2 | 7 |
| 9 | 2 | 3 | 7 | 4 | 6 | 8 | 5 | 1 |
| 5 | 8 | 7 | 9 | 3 | 4 | 1 | 6 | 2 |
| 4 | 6 | 2 | 8 | 5 | 1 | 3 | 7 | 9 |
| 3 | 1 | 9 | 6 | 2 | 7 | 5 | 8 | 4 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 4 | 5 | 2 | 6 | 3 | 1 | 9 | 8 |
| 6 | 3 | 2 | 1 | 8 | 9 | 5 | 4 | 7 |
| 1 | 9 | 8 | 7 | 5 | 4 | 6 | 2 | 3 |
| 9 | 2 | 4 | 6 | 1 | 8 | 3 | 7 | 5 |
| 5 | 1 | 7 | 4 | 3 | 2 | 9 | 8 | 6 |
| 3 | 8 | 6 | 5 | 9 | 7 | 4 | 1 | 2 |
| 8 | 7 | 3 | 9 | 4 | 6 | 2 | 5 | 1 |
| 4 | 6 | 1 | 8 | 2 | 5 | 7 | 3 | 9 |
| 2 | 5 | 9 | 3 | 7 | 1 | 8 | 6 | 4 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 5 | 7 | 8 | 4 | 3 | 1 | 2 | 9 |
| 4 | 9 | 8 | 2 | 1 | 6 | 3 | 7 | 5 |
| 3 | 1 | 2 | 7 | 5 | 9 | 8 | 6 | 4 |
| 8 | 4 | 1 | 9 | 3 | 7 | 6 | 5 | 2 |
| 5 | 7 | 6 | 1 | 2 | 4 | 9 | 8 | 3 |
| 2 | 3 | 9 | 6 | 8 | 5 | 4 | 1 | 7 |
| 1 | 6 | 5 | 3 | 9 | 2 | 7 | 4 | 8 |
| 9 | 8 | 4 | 5 | 7 | 1 | 2 | 3 | 6 |
| 7 | 2 | 3 | 4 | 6 | 8 | 5 | 9 | 1 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 |
| 7 | 2 | 1 | 3 | 6 | 8 | 5 | 9 | 4 |
| 9 | 6 | 8 | 7 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 |
| 1 | 9 | 7 | 4 | 8 | 5 | 6 | 3 | 2 |
| 3 | 8 | 6 | 1 | 2 | 7 | 4 | 5 | 9 |
| 4 | 5 | 2 | 6 | 9 | 3 | 1 | 8 | 7 |
| 8 | 1 | 5 | 9 | 7 | 6 | 2 | 4 | 3 |
| 2 | 7 | 4 | 8 | 3 | 1 | 9 | 6 | 5 |
| 6 | 3 | 9 | 5 | 4 | 2 | 7 | 1 | 8 |

მე-12 გვერდი: 1. ბრატისლავა; 2. ბრინზა; 3. ბუმერანგი; 4. აპლომბი; 5. ირაო; 6. ბარბეკიუ; 7. იუპიტერი; 8. ზერო; 9. სმალტა; 10. ელტონ; 11. იაპეტი; 12. რუპორი; 13. მზარეული; 14. ობელისკი; 15. ტაბლა; 16. მტლე; 17. გრემი; 18. იჯრა; 19. პიტნა; 20. ბეზე; 21. გო; 22. ონონი; 23. აჭარა; 24. ესტე; 25. ატონია; 26. იუბილე; 27. ნიშნობა; 28. ლორი; 29. აგრემანი; 30. ნიჭი; 31. აფიშა; 32. ფლამენკო; 33. შაგრენი; 34. ოტოფონი; 35. „ტოიოტა"; 36. მატრონა; 37. სკუნსი; 38. რაეო; 39. თალმუდი; 40. ბეში; 41. ლიტურგია; 42. ლიტაო; 43. ეთერი; 44. ლეონტი; 45. რანჟირი; 46. ფაო; 47. ნანტი; 48. ოყა; 49. კლიტე; 50. ბოი; 51. კაპრი; 52. ნიკოლაე; 53. ტანგო; 54. ომარი; 55. ანანია; 56. მონტიორი; 57. მენიუ; 58. კაკაო; 59. არბატი; 60. ამინ; 61. დინ; 62. გედია; 63. ჟაბო; 64. იდიია; 65. ავგია; 66. რიონი; 67. პაუზა; 68. ამია; 69. ალა; 70. ოცი; 71. ეგო; 72. ვიზიტი; 73. ვაი; 74. ხარო; 75. ზნე; 76. ტყე; 77. შტირლიცი; 78. აინი; 79. ბრუნეი; 80. იხვი; 81. ედემი. 82 ნოკაუტი.

## შავი ჩაი მავნეა



ამერიკელმა სწავლულებმა ჯორჯთაუნის უნივერსიტეტიდან მასშტაბური კვლევა ჩაატარეს სხვადასხვა პროდუქტის გავლენაზე ქალის სახსრებზე — სუსტი სქესის 76 ათასზე მეტი წარმომადგენელი გამოიკვლიეს 40-დან 65 წლის ასაკამდე, შედეგად კი დაასკვნეს: ყოველთვის მიიჩნეოდა, რომ შავი ჩაი სასარგებლო პროდუქტი, ერთ-ერთი ძლიერი ანტიოქსიდანტია. თუმცა, ფაქტები სხვა რამეზე მეტყველებს — ჩაისა და რევმატულ ართრიტს შორის არსებობს კავშირი. ამ სასმელის ინტენსიური მოხმარება, უფრო ზუსტად კი, დღეში ოთხ ფინჯანზე მეტი მაგარი ჩაის დალევა არსებითად ზრდის რევმატული ართრიტის წარმოშობის რისკს, თუმცა, ამის მიუხედავად, მკვლევარები არ მოგვიწოდებენ, უარი ვთქვათ ჩაის მოხმარებაზე. მასში მართლაც ბევრი ანტიოქსიდანტი და მატონიზირებელი ნივთიერებაა. შესაძლოა, სახსრებზე ჩაის ნეგატიურ გავლენას მისი ფერმენტები იწვევს, რაც სასმელს ფერს აძლევს. ანუ, რაც მუქი შეფერილობისაა ჩაი, მით უფრო აგრესიულია მისი ფერმენტები. ასე რომ, თუ ჩაის სმის მოყვარული ხართ, ეცადეთ ნაკლებად მუქი ფერის სასმელი მიირთვათ.

# დაცვის პოლიციის თანამედროვედ აღჭურვილი ეკიპაჟები უკვე რეგიონებში








შს სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტში რებრენდინგი, აღჭურვა და ტექნიკური სიახლეების დანერგვა მიმდინარეობს. განახლდა ამორტიზებული, მოძველებული სპეცტექნიკა, ავტოპარკი და დანაყოფების შენობები, რომლებიც სრულად შეიცვლება და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღიჭურვა. ოპერატიული რეაგირების ჯგუფებს, ინკასაციის და სპეცდანიშნულების სამმართველოს თანამშრომლებს განახლებული სპეცფორმები და ეკიპირება გადაეცათ. დედაქალაქისა და აჭარის რეგიონის შემდეგ, ოპერატიული რეგირების უახლესი მოდელის ავტომობილებით (Skoda Octavia) შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, იმერეთი-გურიის და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებს გადაეცა.

ოპერატიული ეკიპაჟების ტექნიკურ აღჭურვილობაში სიახლე დაინერგა. ახალ უნიფორმებსა და გაუმჯობესებულ ჯავშანჟილეტებთან ერთად, დაცვის პოლიციის ოპერატიული რეაგირების თითოეული თანამშრომელი პოლიციელის პორტატული სამკერდე კამერით აღიჭურვა. დაცულ ობიექტებზე ოპერატიული ჯგუფის მისვლისა და შეტყობინებაზე რეაგირების მონიტორინგის გაუმჯობესების მიზნით ავტომობილებში მაღალი გარჩევადობის ვიდეორეგისტრატორები დამონტაჟდა.

დაცვის პოლიციის თანამშრომელთა სამუშაო გარემოს გაუმჯობესების მიზნით ადმინისტრაციული და დანაყოფების შენობების კეთილმოწყობა მიმდინარეობს. სისტემატური და გეგმური ხასიათი მიეცა ოპერატიული მიმართულებით დასაქმებული თანამშრომლების პროფესიულ და საცეცხლე მომზადებას. გაუმჯობესდა დაცული ობიექტებიდან განგაშების ოპერატიულად მიღების და მათზე რეაგირების შედეგები.

## დაიჯესტი



### „ბალეტკები" ფეხს აზიანებს

სპეციალისტები გვირჩევენ, ყოველდღიურ ფეხსაცმელს 2-3-სანტიმეტრიანი ქუსლი მაინც ჰქონდეს. არადა, რამდენი ხანია, ე.წ. ბალეტკები უზომოდ პოპულარულია. ორთოპედებს მიაჩნიათ, რომ ყოველდღე სწორძირიანი ფეხსაცმლის ჩაცმა არ შეიძლება ისევე, როგორც მუდმივად მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ტარება. „ბალეტკებით" სიარულისას ვენები, სახსრები, კუნთები სამმაგ დატვირთვას იღებს, რის შედეგადაც თავს იჩენს წელისტკივილი, მუხლების პრობლემები, ტერფის გამრუდება და სხვ. გამოსავალი კი ზომიერების დაცვაა.

### ხის ნოუთბუქი დაამზადეს

სინგაპურელმა დიზაინერებმა უჩვეულო ნოუთბუქი დაამზადეს, რომლის კორპუსი ნატურალური ხისგანაა შექმნილი. ახალი კომპიუტერი მაშინვე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის სიაში მოხვდა და მსოფლიოში პირველი „მწვანე" კომპიუტერის წოდება დაიმსახურა, თუმცა სინამდვილეში, ორი სინგაპურელი დიზაინერის იდეა უფრო გლობალური იყო — მათი მიზანი არა ეკოლოგიური, არამედ „გამჭვირვალე" ნოუთბუქის შექმნა გახლდათ, რომლისთვისაც მყიდველი საკუთარი სურვილით შეარჩევდა ნებისმიერი სახისა და დიზაინის კორპუსს — ხე, პლასტმასი, მინა თუ სხვა რამ. ასევე ითვალისწინებენ კლიენტის სურვილს დიზაინის შემთხვევაშიც. ახალ „ნახევარფაბრიკატ" კომპიუტერს Project Novena უწოდეს და ის ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისთვის.



### დუბაის ყველაზე დიდი ტურისტული ჯგუფი ეწვევა

არაბთა გაერთიანებული საამიროების ფინანსური დედაქალაქი ამ დღეებში ისტორიაში ყველაზე დიდ ტურისტულ ჯგუფს მასპინძლობს, სადაც 19 ათას ადამიანზე მეტი შევა. ერთმა უდიდესმა ჩინურმა კომპანიამ გადაწყვიტა, თანამშრომლებისთვის მასობრივი მოგზაურობა მოეწყო და საამიროების 40 სასტუმროში 39,5 ათასი ნომერი დაჯავშნეს. ჩინელი ტურისტები დუბაიში ერთი კვირა დარჩებიან, მათ გადასაყვანად 77 თვითმფრინავს გამოიყენებენ, ქალაქში კი 409 გიდი მოემსახურება. ჩინელ მოგზაურებს დუბაის, აბუ-დაბისა და შარჯის ღირსშესანიშნაობებს დაათვალიერებინებენ. ქალაქის ხელისუფლებამაც გეგმა შეიმუშავა ტურისტების ამ უზარმაზარი ჯგუფის დასახვედრად და მომსახურებისთვის. აღსანიშნავია, რომ შარშან დუბაის 11 მილიონი ტურისტი ეწვია. ყველაზე მეტი სტუმარი აქ საუდის არაბეთიდან, ინდოეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან და აშშ-დან ჩავიდა.



ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიამენეჯერი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, ანი ბეშიტაიშვილი.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.